

საქართველოს ზოგადი განათლების რეფორმების მიმართულება

ეგნატე შამუგია
ზვიად ხორგუაშვილი



თბილისი 2024

საქართველოს გოგარის განათლების რეფორმის მიზანშეწონიერება

მეცნიერებათა
დოქტორი ს. გოგარაძე

თბილისი
2024

პოლიტიკის დოკუმენტი შექმნილია საქართველოს უნივერსიტეტთან არსებულ დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise-ში. ინსტიტუტის პროექტის – „საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები და მათზე პასუხი“ – ფარგლებში.

პოლიტიკის დოკუმენტის ავტორები:

ეგნატე შამუგია – Gnomon Wise-ის მკვლევარი

ზვიად ხორგუაშვილი – Gnomon Wise-ის მკვლევარი

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებსა და კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise-ს და შესაძლოა, არ ასახავდეს საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციას.



საჩივრი

ანოტაცია	6
შესავალი	7
1. საქართველოს ანგარიში მდგომარეობა	9
2. სასკოლო განათლების სისტემის უზრუნველყოფა: კვალიფიკაციის მიმოხილვა	19
3. სასკოლო განათლება ევროკავშირში	30
3.1. სასკოლო განათლების დაფინანსების სისტემა	31
3.2. დეცენტრალიზაცია სასკოლო განათლებაში	40
3.3. სახელში სწავლება	46
4. ჩაკონკრეტული	50
დასკვნა	54
გამოყენებული ლიტერატურა	57
დანართი	68

ბნაჟიკაბი

გრაფიკი 1:	საქართველოში საჯარო და კერძო სკოლების რაოდენობა	10
გრაფიკი 2:	შობადობის კოეფიციენტი საქართველოში	12
გრაფიკი 3:	პირველკლასელთა რაოდენობა და მოსწავლეთა მთლიან რაოდენობაში წილი (ათასი, %)	12
გრაფიკი 4:	საშუალო მედიანური დარიცხული ხელფასი საქართველოში, 2022 წელი . . .	13
გრაფიკი 5:	გამოცდაზე გასული მასწავლებლების რაოდენობა და მინიმალური კომპეტენციის გადალახვის დონე	14
გრაფიკი 6:	ზოგადი განათლების საჯარო ხარჯები (2005 წლის ფასები) და მოსწავლეთა მიღწევები – მათემატიკა, წაკითხულის გააზრება და საბუნებისმეტყველო საგნების საშუალო (PISA)	16
გრაფიკი 7:	ჩილეში დაწყებითი განათლების საფეხურზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)	24
გრაფიკი 8:	კორეელთა სკოლის მართვაზე პასუხისმგებლობასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მოსწრებას შორის, 2015 წლის მონაცემების მიხედვით (მუქი ფერი ასახავს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს)	26
გრაფიკი 9:	დაწყებითი განათლების საფეხურზე იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც მოწინავე საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)	30
გრაფიკი 10:	სასკოლო განათლებაში ერთ მოსწავლეზე საჯარო დანახარჯების წილი, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან მიმართებით, 2016 წელი (%)	31
გრაფიკი 11:	სკოლების რაოდენობა ბელგიის ფლამანდიურ სისტემაში	33
გრაფიკი 12:	ნიდერლანდებში დაწყებითი და საბაზო განათლების სკოლები (ათასი ერთეული).	35
გრაფიკი 13:	შვედეთში საბაზო და საშუალო განათლების დონეზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)	36
გრაფიკი 14:	დანიამი საბაზო განათლების საფეხურზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)	37
გრაფიკი 15:	ესტონეთში საბაზო და საშუალო განათლების დონეზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)	39
გრაფიკი 16:	ჩეხეთის საშუალო განათლების არასაჯარო სკოლების წილი (%)	40
გრაფიკი 17:	სწავლის ორგანიზება – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)	42
გრაფიკი 18:	პერსონალის მართვა – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)	43

გრაფიკი 19: რესურსების მართვა – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)	44
გრაფიკი 20: დაგეგმვა და სტრუქტურები – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)	45
გრაფიკი 21: მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)	46

სხილა

ცხრილი 1: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)	15
ცხრილი 2: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)	34
ცხრილი 3: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)	38
ცხრილი 1: სასკოლო ვაუჩერი სკოლაში მოსწავლეების რაოდენობისა და კლასების მიხედვით, 2024 წელი	68
ცხრილი 2: მშობლების მიერ შვილისთვის სკოლის არჩევის შესაძლებლობა, 2009	69
ცხრილი 3: ზოგადი განათლების უფლებამოსილება საშუალო და ქვედა დონის მთავრობაზე და სუბნაციონალური მთავრობის განათლების მთლიანი ხარჯების წილი	70
ცხრილი 4: სახლში სწავლება, რეგულირება და მონაწილეობა რაოდენობა	71
ცხრილი 5: აშშ-ში კერძო სკოლების არჩევის პროგრამების გავლენა საჯარო სკოლების შედეგებზე	72
ცხრილი 6: აშშ-ში კერძო სკოლების არჩევის მონაწილეობა მიღწევის ეფექტი, ექსპერიმენტული კვლევები	73
ცხრილი 7: სკოლის მართვის ფუნქციების განაწილება, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის საერთო სურათი (საშუალო)	74
ცხრილი 8: სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციისა და სკოლის ავტონომიის გაფართოების გავლენა საშუალო ზოგად განათლებაზე	75

ანოტაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში ზოგადი განათლების სექტორის გამოწვევებისა და პრობლემების აღწერასა და ანალიზს, ყურადღებას ამახვილებს ამ პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო ცვლილებებზე და ასახავს ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებებს.

დოკუმენტი მოიცავს, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი განათლების სექტორის განვითარების მიმოხილვას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციას.

დოკუმენტში ფართოდ განხილულია თეორიული და ემპირიული აკადემიური ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის სასკოლო განათლებას და ცალკეული ქვეყნების განათლების რეფორმების შედეგებს. აგრეთვე, ნაშრომში საფუძვლიანად შესწავლილია ზოგადი განათლების წარმატებული ქვეყნები და მათი პოლიტიკა სასკოლო განათლების უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირზე, სადაც სასკოლო განათლების დონე მაღალია. მეორე მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკის შესწავლა უპრიანია, გამომდინარე საქართველოს მიზნიდან, რომ გახდეს ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების წევრი.

არაერთი ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემების, სხვადასხვა დროს მათი რეფორმირებისა და აკადემიური ლიტერატურის სისტემური შესწავლის საფუძველზე, დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საქართველოს ზოგადი განათლების წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო რეფორმირების მიმართულებები. კერძოდ, ეს მიმართულებები მოიცავს: ვაუჩერული დაფინანსების მოდელის საშუალებით, სკოლის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფას, სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციასა და სკოლების ავტონომიის გაფართოებას.

პოლიტიკის დოკუმენტში გამოკვეთილია რეფორმირების ისეთი მიმართულებები, რომელთა სრულყოფილი განხორციელების პირობებში, მოსალოდნელი შედეგია სასკოლო განათლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

შესავალი

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენს, რადგან, ერთი მხრივ, ეხება ახალგაზრდების განათლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასაქმებს ათიათასობით ადამიანს და აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდ სექტორს წარმოადგენს. აგრეთვე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, სკოლების არსებული მართვის მოდელი არ შეცვლილა და რეფორმირების შესახებ მსჯელობა საზოგადოების ფართო წრეში პრიორიტეტს წარმოადგენს.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, ზოგადი განათლების რეფორმირების ძირითადი მიმართულებების იდენტიფიცირება და პოლიტიკის განმახორციელებლისთვის აუცილებელი ცვლილებების გზების შეთავაზება. ამ მიზნიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტი ოთხი ნაწილისგან შედგება.

დოკუმენტის პირველ ნაწილში აღწერილია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის გამოცდილება და არსებული მდგომარეობა. სხვადასხვა კრიტერიუმის, მაგალითად, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, მასწავლებელთა კომპეტენციის საზომის, ხელფასების დონისა და საბიუჯეტო დანახარჯების საშუალებით, ნაჩვენებია ზოგადი განათლების მდგომარეობა.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული თეორიული და ემპირიული აკადემიური ლიტერატურა. ლიტერატურა მოიცავს ზოგადი განათლების რეფორმირების როგორც თეორიულ, ისე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე აკადემიურ კვლევებს. ამავე ნაწილში გაანალიზებულია სკოლის არჩევანი, მისი უზრუნველყოფის საშუალებები, სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია და სკოლების ავტონომიის გაფართოება.

წარმოდგენილი ნაშრომის მესამე ნაწილში აღწერილია სასკოლო განათლების მაღალი შედეგების მქონე ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება და არსებული პოლიტიკა, კერძოდ, სასკოლო განათლების დაფინანსებისა და მმართველობის საკითხები. ამავე ნაწილში ნაჩვენებია ისეთი წარმატებული ქვეყნების რეფორმის მაგალითები, როგორებიცაა ბელგია, ნიდერლანდები, შვედეთი და სხვა.

დოკუმენტის მეოთხე ნაწილში ჩამოყალიბებულია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირების ძირითადი მიმართულებები. კონკრეტულად, არსებული მდგომარეობის, თეორიული და ემპირიული ლიტერატურის, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების შესწავლაზე დაყრდნობით, შემუშავებულია ზოგადი განათლების დაფინანსებისა და მიწოდების ერთმანეთისგან განცალკევების, დეცენტრალიზაციისა და სკოლების ავტონომიის გაფართოების რეკომენდაციები.

1.

საქართველოს აისებური მდგომარეობა

საქართველოში სრული ზოგადი განათლება 12 წელს მოიცავს და სამი საფეხურისგან შედგება – დაწყებითი, საბაზო და საშუალო. აქედან, დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. საბაზო განათლების საფეხურის დაძლევის შემდეგ (9 წელი), მოსწავლეს შეუძლია სკოლა დატოვოს, ან სწავლა გააგრძელოს საშუალო განათლების საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. ამასთან, სავალდებულო განათლების მიღება აუცილებლად სასკოლო განათლებას ნიშნავს, რადგან საქართველოში სახლში სწავლება არაღელგაღურია.


2006 წლიდან საქართველოს სასკოლო განათლება ფორმალურად ვაუჩერული მექანიზმით ფინანსდება, მაგრამ შინაარსობრივად, არსებული მოდელი ვაუჩერული დაფინანსება არ არის, ვინაიდან სკოლის დაფინანსება დამოკიდებულია არა მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობაზე, არამედ სხვა ფაქტორებზეც¹. უშუალოდ, ვაუჩერი ცვლადია და საჯარო სკოლებისთვის 507-870 ლარის ფარგლებში მერყეობს (იხ. დანართში ცხრილი 1), ხოლო კერძო სკოლებისთვის ფიქსირებული 300 ლარია.

1. ასეთი ფაქტორებია: სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის ექიმის/ექთნის და ორენოვანი სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურების ოდენობა, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა, შესაბამისი სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატი, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისთვის საჭირო და სხვა ხარჯები.

საქართველოში სასკოლო განათლებას ეროვნული სასწავლო გეგმა არეგულირებს. ის განსაზღვრავს სწავლების შინაარსსა და ფორმას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. ეროვნული სასწავლო გეგმა ერთნაირად აწესრიგებს როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებს. რეგულირება მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სავალდებულო დოკუმენტაციას, სასწავლო საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზებას, მოსწავლეების დატვირთვასა და სხვა მოთხოვნებს. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უნიფიცირებულად აწესრიგებს სასკოლო განათლების მიწოდებისა და მოსწავლის სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს – კლასში მოსწავლეთა რაოდენობიდან დაწყებული, მოსწავლის შეფასების სისტემით დამთავრებული.

სამივე საფეხურზე, 2 296 სკოლაში, 634 ათასი მოსწავლე იღებს სასკოლო განათლებას. მოსწავლეთა ასაკობრივი დიაპაზონი 6-18 წელია. არსებულ სკოლებს შორის, 90.8% – საჯარო, ხოლო დანარჩენი 9.2% კერძოა.

გრაფიკი 1: საქართველოში საჯარო და კერძო სკოლების რაოდენობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სასკოლო განათლების მიწოდებაში კერძო სექტორიც ჩართულია, სკოლებს შორის კონკურენცია მინიმალურ დონეზეა. ამის მიზეზი ცენტრალიზებული სისტემაა, რომლის პირობებში, სასწავლო ნაწილში სკოლებს ავტონომია არ გააჩნია. შესაბამისად, კერძო სკოლებს

მოსწავლეთა მოზიდვაში ნაკლები მოქნილობა აქვთ და ძირითადად, ინფრასტრუქტურითა და სხვა დამატებითი სერვისების შეთავაზებით შეუძლიათ მოსწავლეთა და მათი მშობლების დაინტერესება. ეს კი სწავლის საფასურს ზრდის. შესაბამისად, ასეთი სკოლები ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან არიან. ხოლო იაფიანი კერძო სკოლები, ამ დამატებითი სერვისების გარეშე, ვერ გაჩნდება, რადგან ნომინალურად უფასო საჯარო სკოლებთან კონკურენცია უწევს. გლობალურად, არაერთ ქვეყანაში, სადაც სასკოლო განათლება დეცენტრალიზებულია, კერძო სექტორის მიერ მიწოდებული ზოგადი საშუალო განათლება ხელმისაწვდომია ოჯახების უფრო დიდი ნაწილისთვის. მაგალითად, ბელგიასა და ჩილეში მოსწავლეთა 2/3-ზე მეტი კერძო სკოლაში სწავლობს, ხოლო ინდოეთსა და ავსტრალიაში დაახლოებით 1/2². ასეთ ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ოჯახი ფინანსურად შეძლებული არ არის, მაგრამ მათი შვილი კერძო სკოლაში სწავლობს³. თუმცა, როცა სწავლება ცენტრალიზებულია, კერძო სკოლები მხოლოდ ყველაზე მდიდარი მშობლების შვილების პრივილეგიად იქცევა. ზუსტად ასეთი მდგომარეობაა საქართველოშიც.

ნებისმიერი ქვეყნისთვის, სადაც ცენტრალიზებული მართვის სისტემაა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობის თანხვედრაა. საქართველოში, ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან, შობადობის შემცირების ტენდენციაა, ხოლო მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული გენდერული და ასაკობრივი დისპროპორცია დღემდე იწვევს შობადობის ტრენდისგან გადახრას, რაც, მაგალითად, გამოიხატა 1990-იან წლებში შობადობის შედარებით სწრაფი შემცირებითა და 2000-იან წლებში მოკლევადიანი ზრდით. შესაბამისად, მომავალში, შობადობის შემცირების გათვალისწინებით, ნაკლები სკოლა იქნება საჭირო, თუმცა, შობადობის ციკლურობის გამო, ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება სკოლების ნაკლებობა ფიქსირდებოდეს.


2. UNESCO. (2022). *UNESCO Institute for Statistics (UIS)* [Dataset].

3. Hsieh, C., & Urquiola, M. (2003). *When schools compete, how do they compete? An assessment of Chile's nationwide school voucher program.*

გრაფიკი 2: შობადობის კოეფიციენტი საქართველოში

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


სკოლის ასაკის ციკლურობა ნათლად ჩანს პირველკლასელთა რაოდენობაში. მაგალითად, თუ 2015 წელს პირველკლასელთა რაოდენობა 48.1 ათასს შეადგენდა, მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი 13.1 ათასით მეტი იყო. ამან კი სკოლებზე მოთხოვნა გაზარდა. 2016 წელს ერთ სკოლაზე განაწილებული პირველკლასელთა რაოდენობა, საშუალოდ, 21 მოსწავლე იყო, ხოლო 2023 წელს – 24. ამდენად, სკოლის ასაკის ციკლურობა ზოგჯერ – დეფიციტის, ხოლო ზოგჯერ სიჭარბის მიზეზია.

გრაფიკი 3: პირველკლასელთა რაოდენობა და მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობაში წილი (ათასი, %)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გამოთვლები

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს განათლების მიწოდებაში ჩართული ადამიანური რესურსი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგების რაოდენობა 63.7 ათასს შეადგენს, რაც მთლიანად დაქირავებით დასაქმებულთა 6.9%-ია. მასწავლებელთა 90.5% კი საჯარო სკოლაშია დასაქმებული. ამასთან, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ყველაზე დაბალანაზღაურებადი განათლების სფეროა, სადაც, 2022 წელს, მედიანური თვიური ხელფასი 747 ლარი იყო, როცა მთლიანი მედიანური ხელფასი 1 040 ლარს შეადგენდა. სხვა სიტყვებით, მომავალი თაობის აღზრდა ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებად პროფესიად არის ჩამოყალიბებული, რაც ბარიერს ქმნის ამ სექტორში მაღალკვალიფიციური კადრების შემოღინების გზაზე.


გრაფიკი 4: საშუალო მედიანური დარიცხული ხელფასი საქართველოში, 2022 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიდი გამოწვევაა დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიციურობაც. 2010 წლიდან დანერგილ საკვალიფიკაციო გამოცდებზე გასულ მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს თავის საგანში. მაგალითად, პირველივე წელს მინიმალური ზღვარი გამოცდაზე გასული მასწავლებლების მხოლოდ 11%-მა გადალახა. მიუხედავად ამისა, ისინი სასკოლო განათლების მიწოდებას განაგრძობენ, რადგან სექტორი ახალ და კვალიფიციურ კადრებს ვერ იზიდავს.

გრაფიკი 5: გამოცდაზე გასული მასწავლებლების რაოდენობა და მინიმალური კომპეტენციის გადალახვის დონე



წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

შედეგად, ბავშვებს არა მხოლოდ დაბალანაზღაურებადი, არამედ, უმეტესწილად, დაბალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან⁴. ამ მიმე სიტუაციის ირიბი დასტურია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა, რომლის თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლების სექტორი კვალიფიციური ახალგაზრდებისთვის ნაკლებად მიმზიდველია,⁵ ამიტომ მასწავლებლის საშუალო ასაკი საქართველოში არის 50.4 წელი, როცა კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო დონე 43.4 წელია. უფრო მეტიც, 2013 წლიდან, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

სასკოლო განათლების დაბალი ხარისხის კიდევ ერთი დასტურია რეპეტიტორების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა. მაგალითად, 2012 წელს, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ინფორმაციით, ყოველი მეოთხე მოსწავლე დამატებით რეპეტიტორთან

4. ამის გამო, მასწავლებლები ჩამოყალიბდნენ პოლიტიკურად მოწყვლად ჯგუფად, რომელიც დამოკიდებულია ხელისუფლების კეთილგანწყობაზე და სანაცვლოდ, არჩევნების პერიოდში, ხშირად ხდება პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი. ISFED. (2020). 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. წინასაარჩევნო მონიტორინგის IV შუალედური ანგარიში. <https://www.isfed.ge/geo/angarishebi/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-iv-shualeduri-angarishi>

5. TALIS. (2014). *Teaching and Learning International Survey*.

ემზადებოდა. ამის საჭიროება კი სწორედ მაშინ ჩნდება, როცა სკოლა სათანადო მომსახურებას ვერ უზრუნველყოფს. ამ პირობებში, იზრდება უთანასწორობა, რადგან რეპეტიტორის დაქირავება მეტად მდიდარ ოჯახებს შეუძლიათ. ამიტომ შედარებით ღარიბი მშობლების შვილები დამატებით წამგებიან მდგომარეობაში რჩებიან.

მოულოდნელი არაა, რომ ამგვარ გარემოში მოსწავლეთა მიღწევები დაბალ დონეზეა, რაზეც საერთაშორისო შეფასებებიც მიუთითებს. მაგალითად, დაწყებითი განათლების საფეხურზე, მათემატიკის კომპონენტში, მოსწავლეთა წილი საერთაშორისო სტანდარტზე დაბალია. ასეთ შეფასებაში, გაცილებით უარესი შედეგია საბუნებისმეტყველო საგნებში, სადაც მოწინავე და მაღალ საერთაშორისო სტანდარტს საქართველოს ნიშნული 6-ჯერ და 3-ჯერ ჩამორჩება (იხ. ცხრილი 1)⁶. მსგავსი სურათია სხვა შეფასებებშიც.

ცხრილი 1: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)

საერთაშორისო სტანდარტი	საგანი	საქართველო	საერთაშორისო მედიანური
დაბალი	მათემატიკა	84	92
	საბუნებისმეტყველო	75	92
საშუალო	მათემატიკა	56	71
	საბუნებისმეტყველო	43	71
მაღალი	მათემატიკა	20	34
	საბუნებისმეტყველო	12	32
მოწინავე	მათემატიკა	3	7
	საბუნებისმეტყველო	1	6


წყარო: Mullis, I. V. S., Martin, M. O., Foy, P., & Arora, A. (2019). TIMSS 2019 International Results in Mathematics. *International Association for the Evaluation of Educational Achievement*.

2022 წლის PISA-ს კვლევის მიხედვით, საქართველო, 81 ქვეყანას შორის, წაკითხულის გააზრებაში – 67-ე, მათემატიკაში – მე-60, ხოლო საბუნებისმეტყვე-

6. მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასება იყენებს ოთხ სხვადასხვა ხარისხობრივ საერთაშორისო სტანდარტს. შესაბამისად, ქვეყნის შედეგები ნაჩვენებია ოთხივე სტანდარტის გადალახვის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.

ლო მეცნიერებებში ნნ-ე ადგილზე, ამასთან, კვლევაში საქართველოს მაჩვენებელი წლიდან წლამდე უარესდება⁷.

გრაფიკი ნ: ზოგადი განათლების საჯარო ხარჯები (2005 წლის ფასები) და მოსწავლეთა მიღწევები – მათემატიკა, წაკითხულის გააზრება და საბუნებისმეტყველო საგნების საშუალო (PISA)



წყარო: ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გამოთვლები

მოსწავლეთა შედეგების გაუარესების ფონზე, მთავრობა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში უფრო და უფრო მეტ რესურსს ხარჯავს, თუმცა არასწორ პრინციპებზე და სტიმულებზე აგებულ განათლების სისტემას, უბრალოდ, მეტი დაფინანსება ვერაფერში დაეხმარება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, 2015 წელთან შედარებით, ზოგადი განათლების რეალური ხარჯები 55%-ით გაიზარდა, ამავე პერიოდში მოსწავლეთა მიღწევები სამივე – მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები და წაკითხულის გააზრება – კომპონენტში გაუარესდა (იხ. გრაფიკი ნ).

7. PISA 2022 Results (Volume I). (2023). In *Programme for international student assessment/Internationale Schulleistungsstudie*.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა კრიზისში იმყოფება. ქვეყანაში არ მომხდარა სექტორის ძირეული რეფორმირება, საბჭოთა მიდგომებიდან დასავლურ წარმატებულ მიდგომებზე გადასვლის მიზნით. ქვეყანაში 634 ათასი მოსწავლე და 2.3 ათასი სკოლაა. მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი საჯარო სკოლაში სწავლობს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ცენტრალიზებული სისტემაა. ზოგადი განათლების სისტემა სრულად ცენტრალური ხელისუფლების მიერ იმართება. ცენტრალიზებული მიდგომის ძირითადი საშუალება ერთიანი სასწავლო გეგმაა, რომელიც, უნიფიცირებული მიდგომით, ყველა სკოლას დეტალურ ინსტრუქციებს აძლევს და არეგულირებს. ასეთ პირობებში კერძო სკოლებიც ერთმანეთთან სათანადო კონკურენციაში ვერ შედიან.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა არასწორად დანერგილი ვაუჩერული სისტემაა. ერთი მხრივ, ვაუჩერის ღირებულების გაანგარიშების მოდელი ეწინააღმდეგება ვაუჩერული დაფინანსების პრინციპებს და მეორე მხრივ, საჯარო და კერძო სკოლებისთვის, თითო მოსწავლეზე, სხვადასხვა რაოდენობის თანხაა განაწილებული.

მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი, პრობლემა სექტორში დასაქმებული კადრების პროფესიონალიზმია. საქართველოში მასწავლებელთა კვალიფიკაცია დაბალია, რასაც საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები ცხადყოფს. საბოლოოდ, სექტორი ნაკლებად მიმზიდველი და დაბალპროდუქტიულია, რაც დაბალანაზღაურებადობის საფუძველია.

მეოთხე გამოწვევა კი არჩევანის არარსებობაა. ერთიანი ეროვნული გეგმის არსებობის პირობებში, კერძო სკოლებს განსხვავებული სერვისის შეთავაზება ნაკლებად შეუძლიათ და ამიტომ, ისინი საჯარო სკოლებთან მხოლოდ გამართული ინფრასტრუქტურით კონკურირებენ. მშობლისა და მოსწავლისთვის კი ცენტრალიზებული სისტემიდან გასვლა – სახლში სწავლება – აკრძალულია.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც გლობალურად, საქართველოშიც ერთ-ერთი გამოწვევა ცვალებადი შობადობის კოეფიციენტი, რის გამოც, მოსწავლეებისა და სკოლების რაოდენობა ერთმანეთთან თანხვედრილი არაა. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა დაფიქსირდეს სიჭარბე და არაეფექტიანობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – სკოლების დეფიციტი.

ხსენებული პრობლემების ხანგრძლივმა არსებობამ, მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა. ეს კი აისახა მოსწავლეთა მოსწრებაზე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზე უფრო დაბალ ნიშნულზეა. მიუხედავად ამისა, განათლების საბიუჯეტო ხარჯები ყოველწლიურად მზარდია.

2.

სასკოლო განათლების სისტემის ეფექტიანობა: კვლევის მიმოხილვა

კონკურენცია, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან განაწილებას და აიძულებს მიმწოდებლებს, მეტად იყოს ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე. ეს ეხება ყველა ბაზარს და ამ ნაწილში, განათლების სექტორი გამონაკლისი არაა. სასკოლო განათლების კონკურენტულ გარემოში მიწოდება ხელს უწყობს განათლების საერთო დონის გაუმჯობესებასა და დანახარჯების შემცირებას⁸. გარდა ამისა, მშობელს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი სკოლა თავისი შვილისთვის. ასეთი არჩევანის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ბავშვს აქვს უნიკალური ინტერესები, შესაძლებლობის დონე, სურვილები და სწავლის სტილი. სკოლისა და მოსწავლის უკეთესი შესაფერისობა და დამთხვევა ხელს უწყობს მოსწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას⁹. კონკურენციის პირობებში, სკოლას უჩნდება პროგრამებისა და სწავლების იმგვარად ორგანიზების სტიმული, რომ უკეთესად დააკმაყოფილოს სხვადასხვა მოსწავლის საჭიროებები და ინტერესები¹⁰.

8. Chubb, J., & Moe, T. (1990). *Politics, markets, and America's schools*. Brookings Institution Press.

9. DeAngelis, C. A., & Erickson, H. H. (2018). What Leads to Successful School Choice Programs? A Review of the Theories and Evidence. *CATO JOURNAL*, 38(1), 247–263.

10. Card, D., Dooley, M. D., & Payne, A. A. (2010). School Competition and Efficiency with Publicly Funded Catholic Schools. *American Economic Journal. Applied Economics*, 2(4), 150–176. ; Wößmann, L. (2007). International Evidence on School Competition, Autonomy, and Accountability: a review. *Peabody Journal of Education*, 82(2–3), 473–497.; Feinberg, W., & Lubienski, C. (2009). School choice policies and outcomes: empirical and philosophical perspectives. *Choice/Choice Reviews*, 46(10), 46–5749.

ამასთან, სასკოლო განათლებაში კონკურენციის არსებობა, პირველ რიგში, გამოიხატება მშობლების შესაძლებლობაში, აირჩიონ მათთვის სასურველი სკოლა. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაშინ, როცა განათლების ხარჯები დიდწილად საჯარო წყაროებიდან ფინანსდება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდია საჯარო სკოლების სისტემის მონოპოლიური მდგომარეობაში ჩაყენების ალბათობა.

სკოლის თავისუფალად არჩევის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო სკოლისთვის საბიუჯეტო დაფინანსებაზე თანაბარ წვდომას, ხელს უწყობს სასკოლო განათლებაში კერძო სკოლების წვლილის ზრდას. კერძო სკოლა უკეთეს შედეგებს აჩვენებს, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტი პროდუქტიულობითა და რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ხასიათდება, ვიდრე ტრადიციული საჯარო სკოლები¹¹. არსებული ემპირიული ლიტერატურა კი აჩვენებს, რომ კერძო სკოლებში მოსწავლეები უკეთეს აკადემიურ მიღწევებს აჩვენებენ, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეები¹². მეორე მხრივ, დაფინანსების თანაბარი მიღების შესაძლებლობის პირობებში, კერძო სკოლების არსებობა აუმჯობესებს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მიღწევებს, რადგან საჯარო სკოლებსაც უწევთ ოპერირება კონკურენციული წნეხის პირობებში¹³.

სკოლის არჩევის შესაძლებლობა მოწინავე ქვეყნებში წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან გაფართოვდა¹⁴. არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა მექანიზმია გამოყენებული¹⁵, მათ შორის, ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია სასკოლო განათლების ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმი¹⁶, რომელიც აკადემიურ ლიტერატურაში ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა ჯერ

11. West, E. G. (1991). Public schools and excess burdens. *Economics of Education Review*, 10(2), 159–169.

12. Azimi, E., Friesen, J., & Woodcock, S. D. (2023). Private schools and student achievement. *Education Finance and Policy*, 18(4), 623–653. ; Urquiola, M. (2016). Competition among schools. In *Handbook of the economics of education* (pp. 209–237).

13. Sander, W. (1999). Private schools and public school achievement. *the Journal of Human Resources/ the Journal of Human Resources*, 34(4), 697. ; Couch, J. F., Shughart, W. F., & Williams, A. L. (1993). Private school enrollment and public school performance. *Public Choice*, 76(4), 301–312.

14. Musset, P. (2012). School choice and equity. *OECD Education Working Papers*. ; Hoxby, C. M. (2003). School choice and school competition: Evidence from the United States. *SWEDISH ECONOMIC POLICY REVIEW*.

15. EdChoice. (2023). *2023 ABCs of School Choice Available Now*.

16. Musset, P. (2012). School choice and equity. *OECD Education Working Papers*.

კიდევ 1955 წლის ესეში აღწერა¹⁷. ვაუჩერული მოდელი ნიშნავს დაფინანსებას სკოლების თითო მოსწავლეზე განაწილებული რესურსებით, რომელიც თან მიჰყვება მოსწავლეს ნებისმიერ სკოლაში, თანაბარი პირობებით. ასეთი მექანიზმი გულისხმობს სასკოლო განათლების დაფინანსებისა და მიწოდების ერთმანეთისგან განცალკევებას, რაც ასეთი მომსახურების მიწოდების პროცესში კონკურენციას აჩენს.

თეორიულ ლიტერატურაში, ვაუჩერული დაფინანსების მოდელის სასარგებლოდ გავრცელებულ არგუმენტებს შორის, შეიძლება შემდეგი არგუმენტები გამოვყოთ¹⁸:

- ვაუჩერი უზრუნველყოფს სასკოლო განათლების საბაზრო ან კვაზისა-ბაზრო მიწოდებას, მიწოდებლებს შორის კონკურენციითა და მშობლების არჩევანის შესაძლებლობით, რაც ახალისებს განათლების ეფექტიან მიწოდებას.
- სასკოლო განათლების საბაზრო მიწოდება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მრავალფეროვნებას, რაც აუმჯობესებს მოსწავლეთა/მშობელთა პრეფერენციებსა და მიწოდებას შორის დამთხვევას.
- ვაუჩერული დაფინანსების მოდელი და სკოლის არჩევის შესაძლებლობა აუმჯობესებს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის მოსწავლეებისთვის.

სკოლის არჩევის კონკურენტული ეფექტი სასკოლო განათლების ხარისხზე ემპირიულად შესწავლილია და იზიარებს თეორიულ მოლოდინებს¹⁹. ასეთი კვლევები, ძირითადად, სწავლობს, თუ რა გავლენა აქვს სკოლის არჩევის შესაძლებლობით შექმნილ კონკურენტულ ზეწოლას იმ მოსწავლეებზე, რომლებიც რჩებიან ტრადიციულ საჯარო სკოლებში. კონკურენციის პირობებში, სკოლას უჩნდება ფინანსური სტიმული იმისა, რომ შეინარჩუნოს მოსწავლეები და გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი სასწავლო მეთოდებისა და პრაქტიკის

17. Friedman, M. (1955). The role of government in education. *Economics and the public interest*, 2(2), 85-107.

18. Epple, D., Romano, R., & Urquiola, M. (2017). School Vouchers: A Survey of the Economics Literature. *Journal of Economic Literature*, 55(2), 441-492.

19. Shakeel, M. D., Anderson, K. P., & Wolf, P. J. (2021). The participant effects of private school vouchers around the globe: a meta-analytic and systematic review. *School Effectiveness and School Improvement*, 32(4), 509-542.

შეცვლით²⁰. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ კერძო სკოლების განვითარება თავისთავად დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე²¹, სკოლის არჩევის შესაძლებლობა წარმოადგენს, მათ შორის, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების ეფექტიან საშუალებასაც²². მაგალითად, აშშ-ში ჩატარებული 24 ემპირიული კვლევის სისტემური მიმოხილვა აჩვენებს (იხ. დანართში ცხრილი 5), რომ 16 კვლევის შემთხვევაში, კერძო სკოლის არჩევის შესაძლებლობას გამოკვეთილად დადებითი გავლენა ჰქონდა ტრადიციული საჯარო სკოლის მოსწავლეთა შედეგებზე, ხოლო 7 კვლევის შემთხვევაში, ეს გავლენა ნეიტრალურიდან დადებითამდე იყო შეფასებული. რაც შეეხება ნეიტრალურს, ასეთი მხოლოდ ერთი კვლევა აღმოჩნდა. არცერთ კვლევას არ უჩვენებია, რომ კერძო სკოლის არჩევის შესაძლებლობის პროგრამებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა მოსწავლეთა სასკოლო შედეგებზე²³.

კერძო სკოლის არჩევის პროგრამები და განსაკუთრებით, გაუჩერული დაფინანსების მოდელები დეტალურად შესწავლილია აშშ-ის მაგალითზე, ექსპერიმენტული და კვაზიექსპერიმენტული კვლევის დიზაინის გამოყენებით. მათი სისტემური შეფასება აჩვენებს, რომ მთლიანობაში, კერძო სკოლის არჩევის შესაძლებლობა დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე²⁴. 13-დან ხუთი კვლევის შემთხვევაში, კერძო სკოლის არჩევის პროგრამას, ჯამურად, დადებითი გავლენა ჰქონდა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე, ხოლო სხვა ხუთი კვლევის ფარგლებში, დადებითი შედეგები მხოლოდ ცალკეული ჯგუფების შემთხვევაში აჩვენა. ორ კვლევაში რაიმე ზემოქმედება არ გამოვლენილა, ხოლო ერთმა კვლევამ უარყოფითი კავშირი აჩვენა (იხ. დანართში ცხრილი 6). სხვა ექსპერიმენტული დიზაინის მქონე კვლევებიც კერძო სკოლის არჩევის პროგრამების მოსწავლის საგანმანათლებლო მიღწევებზე

20. Cullen, J. B., & Mazzeo, M. (2007). *Implicit Performance Awards: An Empirical Analysis of the Labor Market for Public School Administrators*. ; Rouse, C. E., Hannaway, J., Goldhaber, D., & Figlio, D. N. (2013). Feeling the Florida heat? How Low-Performing Schools respond to voucher and Accountability pressure. *American Economic Journal. Economic Policy*, 5(2), 251–281.

21. Jabbar, H., Fong, C. J., Germain, E., Li, D., Sánchez, J., Sun, W., & Devall, M. (2019). The Competitive Effects of School choice on Student Achievement: A Systematic review. *Educational Policy*, 36(2), 247–281.

22. Egalite, A. J. (2013). Measuring Competitive Effects from school Voucher Programs: A Systematic review. *Journal of School Choice*, 7(4), 443–464.

23. Egalite, A. J. (2013). Measuring Competitive Effects from school Voucher Programs: A Systematic review. *Journal of School Choice*, 7(4), 443–464. ; Egalite, A. J., & Wolf, P. J. (2016). A review of the empirical research on private school choice. *Peabody Journal of Education*, 91(4), 441–454.

24. Egalite, A. J., & Wolf, P. J. (2016). A review of the empirical research on private school choice. *Peabody Journal of Education*, 91(4), 441–454.

დადებით გავლენას აჩვენებს. მაგალითად, ვაშინგტონში (კ.რ.) ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ვაუჩერული დაფინანსების გამოყენებამ საშუალო სკოლის დამთავრების ალბათობა 21%-ით გააუმჯობესა²⁵, ხოლო ქალაქ ნიუ-იორკის ექსპერიმენტმა აფროამერიკელი სტუდენტების კოლეჯში სწავლის შედეგების 9%-იანი გაუმჯობესება აჩვენა²⁶. ვაუჩერული დაფინანსების ასეთ დადებით შედეგებს იმეორებს დაკვირვებითი კვლევები, რომლებიც მილუოკში ჩატარდა²⁷.

მსგავსი შედეგებია კანადის სასკოლო სისტემის კვლევებშიც. კანადის პროვინცია ონტარიოს სასკოლო სისტემაში კონკურენციის გავლენის ემპირიულმა შესწავლამ აჩვენა, რომ სკოლის არჩევა და შესაბამისად, კონკურენციის გაძლიერება, აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს. სწავლის შედეგებში გაუმჯობესება ორივე – საჯარო და კერძო – სისტემაში შესამჩნევია²⁸. კვებეკის სასკოლო სისტემის ემპირიული გამოკვლევა ადასტურებს, რომ ბავშვების კერძო სკოლაში ტარება, სხვა თანაბარ პირობებში, სტანდარტული გადახდის 12%-დან 36%-მდე აუმჯობესებს მათემატიკაში მოსწავლის შედეგებს²⁹. კერძო სკოლების კონტრიბუციის უფრო მაღალი, 13.2%-იანი მაჩვენებელით, ბრიტანული კოლუმბია გამოირჩევა, სადაც პროვინციის მთავრობამ 1977 წლიდან უნივერსალური ვაუჩერული სისტემა დააწესა. ასეთი სკოლები სრულიად დამოუკიდებელია და სასკოლო განთლების მიწოდებაში ფართო ავტონომია აქვს. სწორედ კანადის ამ პროვინციის ფართო მონაცემების ემპირიული შესწავლა აჩვენებს, რომ კერძო სკოლებში არითმეტიკისა და წიგნიერების უნარების განვითარება უფრო მეტად არის მოსალოდნელი, ვიდრე საჯარო სკოლებში³⁰.

25. Wolf, P. J., Kisida, B., Gutmann, B., Puma, M. J., Eissa, N., & Rizzo, L. (2013). School Vouchers and Student Outcomes: Experimental Evidence from Washington, DC. *Journal of Policy Analysis and Management*, 32(2), 246–270.

26. Chingos, M. M., & Peterson, P. E. (2015). Experimentally estimated impacts of school vouchers on college enrollment and degree attainment. *Journal of Public Economics*, 122, 1–12.

27. Warren, J. (2011). *Graduation Rates for Choice and Public School Students in Milwaukee*. School Choice Wisconsin. ; Cowen, J. M., Fleming, D. J., Witte, J. F., Wolf, P. J., & Kisida, B. (2013). School Vouchers and Student Attainment: Evidence from a State-Mandated Study of Milwaukee’s Parental Choice Program. *Policy Studies Journal*, 41(1), 147–168.


28. Card, D., Dooley, M. D., & Payne, A. A. (2010). School Competition and Efficiency with Publicly Funded Catholic Schools. *American Economic Journal. Applied Economics*, 2(4), 150–176.

29. Lefebvre, P., Merrigan, P., & Verstraete, M. (2011). Public subsidies to private schools do make a difference for achievement in mathematics: Longitudinal evidence from Canada. *Economics of Education Review*, 30(1), 79–98.

30. Azimi, E., Friesen, J., & Woodcock, S. D. (2023). Private schools and student achievement. *Education Finance and Policy*, 18(4), 623–653.

კიდევ ერთი კარგი მაგალითია ჩილე, სადაც ცენტრალიზებული სასკოლო განათლების რეფორმირება 1980-იან წლებში დაიწყო, მათ შორის, ვაუჩერული სისტემის შემოღებით. რეფორმის პირველი ხილული შედეგი იყო სასკოლო განათლების ბაზარზე ახალი კერძო სკოლების გამოჩენა (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: ჩილეში დაწყებითი განათლების საფეხურზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)



წყარო: UNESCO Institute for Statistics; World Bank; Mizala, A., & Romaguera, P. (2000). School Performance and Choice: The Chilean experience. *the Journal of Human Resources/ the Journal of Human Resources*, 35(2), 392.

ხსენებული რეფორმის ემპირიულმა შესწავლამ დაადასტურა, რომ ვაუჩერული სისტემის დანერგვამ გააუმჯობესა მოსწავლეთა შედეგები სტანდარტიზებულ ტესტებში³¹, შეამცირა სკოლაში სწავლის დანახარჯები და ამავდროულად, გაზარდა სასკოლო მიღწევები³². გაუმჯობესება უფრო მაღალი იყო დაბალშემოსავლიანი ინდივიდების შემთხვევაში, რამაც ხელი შეუწყო უთანასწორობის შემცირებას³³.

31. Gallego, F. (2013). When Does Inter-School Competition Matter? Evidence from the Chilean “Voucher” System. *the A.E. Journal of Economic Analysis & Policy*, 13(2), 525–562. ; Correa, J. A., Parro, F., & Reyes, L. (2014). The Effects of Vouchers on School Results: Evidence from Chile’s Targeted Voucher Program. *Journal of Human Capital*, 8(4), 351–398. ; Auguste, S., & Valenzuela, J. P. (2004). Do students benefit from school competition. *The Chilean Experiencia*.

32. Sapelli, C., & Vial, B. (2005). Private vs Public Voucher Schools in Chile: new Evidence on Efficiency and Peer Effects. *Documentos De Trabajo (Instituto De Economía PUC)*, 289, 1–34. ; Rodríguez, J. (1988). School Achievement and Decentralization Policy. *Revista De Análisis Económico*, 3(1), 4.

33. Bravo, D., Mukhopadhyay, S., & Todd, P. (2010). Effects of school reform on education and labor market performance: Evidence from Chile’s universal voucher system. *Quantitative Economics*, 1(1), 47–95.

სკოლების ვაუჩერული დაფინანსების დანერგვის დადებით გავლენას ადასტურებს ამ უკანასკნელის შესწავლა სხვა ქვეყნების შემთხვევების ექსპერიმენტული მეთოდოლოგიით. მაგალითად, კოლუმბიაში ასეთი მოდელის შემოღებამ გააუმჯობესა სასკოლო განათლების შედეგები და ხარვეფექტიანი საშუალება აღმოჩნდა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის³⁴. კიდევ ერთი მტკიცებულება შევდეთია, სადაც უნივერსალური ვაუჩერული დაფინანსების მოდელის დანერგვამ ხელი შეუწყო სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას³⁵, რაც გრძელვადიან შედეგებშიც დადებითად აისახა³⁶. სკოლის არჩევის შესაძლებლობა და შესაბამისად, სასკოლო განათლების მიწოდებაში კონკურენციის დადებითი გავლენა განათლების შედეგებზე ნაჩვენებია სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილებითა და მისი ემპირიული ანალიზითაც. ასეთებს შორის იკვეთება ინგლისი³⁷, დანია³⁸, ნიდერლანდები³⁹ და ჩეხეთი⁴⁰, სადაც სავალდებულო განათლების დაფინანსება და მიწოდება მეტ-ნაკლებად განცალკევებულია.

აღსანიშნავია, რომ ცალკე აღებული ვაუჩერული ან მსგავსი ტიპის მოდელები სკოლებს შორის სათანადო კონკურენციას საკმარისად ვერ უზრუნველყოფს. დაფინანსების ასეთი მოდელის მიზნების მიღწევა მოითხოვს საჯარო სკოლების დეცენტრალიზაციასა და სკოლის ავტონომიის გაფართოებასაც.

მოწინავე ქვეყნების მონაცემები აჩვენებს, რომ, რაც უფრო დაბალ დონეზე დელეგირებული გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო მაღალია მოსწავლე-

34. Angrist, J. D., Bettinger, E., Bloom, E., King, E. M., & Kremer, M. (2002). Vouchers for Private Schooling in Colombia: Evidence from a Randomized Natural Experiment. *the American Economic Review*, 92(5), 1535–1558. ; Angrist, J. D., Bettinger, E., & Kremer, M. (2006). Long-Term Educational Consequences of Secondary School Vouchers: Evidence from Administrative Records in Colombia. *the American Economic Review*, 96(3), 847–862.

35. Ahlin, A. (2003). *Does school competition matter? Effects of a Large-Scale School Choice Reform on Student Performance.* ; Sandström, F. M., & Bergström, F. (2005). School vouchers in practice: competition will not hurt you. *Journal of Public Economics*, 89(2–3), 351–380. ; Böhlmark, A., & Lindahl, M. (2007). The impact of school choice on pupil achievement, segregation, and costs: Swedish evidence. *Social Science Research Network*.

36. Böhlmark, A., & Lindahl, M. (2015). Independent Schools and Long-run Educational Outcomes: Evidence from Sweden's Large-scale Voucher Reform. *Economica*, 82(327), 508–551.

37. Gibbons, S., Machin, S., & Silva, O. (2008). Choice, competition, and pupil achievement. *Journal of the European Economic Association*, 6(4), 912–947. ; Allen, R., & Vignoles, A. (2015). Can school competition improve standards? The case of faith schools in England. *Empirical Economics*, 50(3), 959–973.


38. Andersen, S. C. (2008). Private Schools and the Parents that Choose Them: Empirical Evidence from the Danish School Voucher System. *Scandinavian Political Studies*, 31(1), 44–68.

39. Patrinos, H. A. (2013). Private education provision and public finance: the Netherlands. *Education Economics*, 21(4), 392–414.

40. Filer, R. K., & Münich, D. (2013). Responses of private and public schools to voucher funding. *Economics of Education Review*, 34, 269–285.

თა აკადემიური მოსწრება და მიღწევები⁴¹. მაგალითად, მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამის მონაწილე ქვეყნების მონაცემების მიხედვით, სკოლის ხელმძღვანელზე გადაცემულ ძალაუფლებასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა შედეგებს შორის, დადებითი კავშირი არსებობს (იხ. გრაფიკი 8).

გრაფიკი 8: კორელაცია სკოლის მართვაზე პასუხისმგებლობასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მოსწრებას შორის, 2015 წლის მონაცემების მიხედვით (მუქი ფერი ასახავს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს)



წყარო: OECD. (2017). *School choice and school vouchers: An OECD perspective*. OECD Publishing.

სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ დონეზე სკოლის არჩევის შესაძლებლობისა და შესაბამისად, კონკურენტული წნეხის პირობებში, სკოლები უკეთ პასუხობენ სპეციფიკურ, ლოკალურ საჭიროებებს და განათლების მიწოდებაში მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული არიან⁴².

41. PISA 2022 Results (Volume II). (2023). In *Programme for international student assessment/ Internationale Schulleistungsstudie*. ; OECD. (2017). *School choice and school vouchers: An OECD perspective*. OECD Publishing.

42. Caldwell, B. J., & Spinks, J. M. (2013). *The Self-Transforming School*. In *Routledge eBooks*. ; Cheng, Y. C. (2022). *School Effectiveness and School-Based Management*.

სასკოლო განათლების ხარისხსა (გაზომილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით) და განათლების დეცენტრალიზაციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამტკიცებულია ფართო ემპირიული ლიტერატურით, რომელიც დეცენტრალიზაცია/სკოლის ავტონომიის დადებით გავლენას აჩვენებს (იხ. დანართში ცხრილი 8). კერძოდ, ლათინურ ამერიკაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციას დადებითი გავლენა ჰქონდა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და სხვა სასკოლო შედეგებზე⁴³. გარდა ამისა, კვლევამ გამოავლინა ამ უკანასკნელის ეფექტი მასწავლებელთა კომპეტენციის გაუმჯობესებაზე⁴⁴.

სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციის დადებითი გავლენა ზოგად საშუალო განათლებაზე, გამოვლინდა ევროპის ქვეყნების ემპირიულ ანალიზშიც, პირველ რიგში, მოსწავლეთა შედეგების ნაწილში⁴⁵. უმეტესად, ასეთივე სურათია ნაჩვენები სხვა ქვეყნების კვლევების შედეგებშიც⁴⁶.

ემპირიული ლიტერატურის მეორე ნაწილი უშუალოდ სკოლების ავტონომიის გავლენაზეა ფოკუსირებული. თუ პირველი ნაწილი სასკოლო პოლიტიკის ადგილობრივი ორგანოების მიერ მართვის შედეგების მიმოხილვა იყო, მეორე ნაწილი უშუალოდ სკოლის ხელმძღვანელობის ხელში არსებით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების ქონის შედეგების შესწავლაა. ასეთი

-
43. Gunnarsson, V., Orazem, P., Sánchez, M., & Verdisco, A. (2004). *Does school decentralization raise student outcomes?: Theory and evidence on the roles of school autonomy and community participation.* ; Galiani, S., & Schargrodsky, E. (2002). Evaluating the impact of school decentralization on educational quality. *Economía*, 2(2), 275–314. ; Galiani, S., Gertler, P., & Schargrodsky, E. (2008). School decentralization: Helping the good get better, but leaving the poor behind. *Journal of Public Economics*, 92(10–11), 2106–2120. ; Faguet, J., & Sánchez, F. (2008). Decentralization's effects on educational outcomes in Bolivia and Colombia. *World Development*, 36(7), 1294–1316. ; Melo-Becerra, L. A., Hahn-De-Castro, L. W., Ariza, D. S., & Carmona, C. O. (2020). Efficiency of local public education in a decentralized context. *International Journal of Educational Development*, 76, 102194.
44. Elacqua, G., Munevar, I., Sánchez, F., & Santos, H. (2021). The impact of decentralized decision-making on student outcomes and teacher quality: Evidence from Colombia. *World Development*, 141, 105378.
45. Diaz-Serrano, L., & Meix-Llop, E. (2019). Decentralization and the quality of public services: Cross-country evidence from educational data. *Environment and Planning. C, Politics and Space*, 37(7), 1296–1316. ; Salinas, P., & Solé-Ollé, A. (2018). Partial fiscal decentralization reforms and educational outcomes: A difference-in-differences analysis for Spain. *Journal of Urban Economics*, 107, 31–46.
46. Jeong, D. W., Lee, H. J., & Cho, S. K. (2017). Education decentralization, school resources, and student outcomes in Korea. *International Journal of Educational Development*, 53, 12–27. ; Toi, A. (2010). An empirical study of the effects of decentralization in Indonesian junior secondary education. *Educational Research for Policy and Practice*, 9(2), 107–125. ; Muttaqin, T., Van Duijn, M. a. J., Heyse, L., & Wittek, R. (2015). The impact of decentralization on educational attainment in Indonesia. In *Springer eBooks* (pp. 79–103). ; Sari, V. (2019). Educational assistance and education quality in Indonesia: the role of Decentralization. *Population and Development Review*, 45(S1), 123–154.

კვლევები კი დიდწილად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ფარავს. ინგლისში ფართოდ გავრცელებულია მაღალი ავტონომიის მქონე სკოლები⁴⁷, რომლებსაც ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ რესურსების მართვა, სწავლების ორგანიზება და სასწავლო გეგმის განსაზღვრა⁴⁸. საერთო ჯამში, არსებული კვლევების უმეტესობა ასეთ სკოლებში მოსწავლეთა უკეთეს შედეგებზე მიუთითებს⁴⁹. სკოლის ავტონომიის გავლენა ფართოდ შესწავლილია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც ემპირიული ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს სკოლის შედეგებზე ავტონომიის დადებით გავლენას⁵⁰. სკოლის ავტონომიის დადებით გავლენას, კერძოდ მოსწავლეთა სასკოლო შედეგების გაუმჯობესებას ადასტურებს სხვა კვლევებიც⁵¹.

სკოლის არჩევის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია. აკადემიურ ლიტერატურაში მისი გავლენის ორი ძირითადი არხია გამოკვეთილი. პირველი, ესაა კონკურენცია, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მიწოდების ხარისხისა

47. Department for Education. (2024). *Schools, pupils and their characteristics*. GOV.UK.

48. Neri, L., & Pasini, E. (2023). Heterogeneous effects of school autonomy in England. *Economics of Education Review*, 94, 102366.

49. Clark, D. (2009). The performance and competitive effects of school autonomy. *Journal of Political Economy*, 117(4), 745–783. ; Eyles, A., Hupkau, C., & Machin, S. (2016). Academies, charter and free schools: do new school types deliver better outcomes? *Economic Policy*, 31(87), 453–501. ; Eyles, A., & Machin, S. (2019). The introduction of academy schools to England's education. *Journal of the European Economic Association*, 17(4), 1107–1146. ; Neri, L., & Pasini, E. (2023). Heterogeneous effects of school autonomy in England. *Economics of Education Review*, 94, 102366.

50. Hoxby, C., & Murarka, S. (2009). *Charter schools in New York City: Who enrolls and how they affect their students' achievement*. ; Dobbie, W., & Fryer, R. G., Jr. (2011). Are High-Quality Schools Enough to Increase Achievement Among the Poor? Evidence from the Harlem Children's Zone. *American Economic Journal. Applied Economics*, 3(3), 158–187. ; Abdulkadiroglu, A., Angrist, J. D., Dynarski, S. M., Kane, T. J., & Pathak, P. A. (2011). Accountability and Flexibility in Public Schools: Evidence from Boston's Charters And Pilots. *the Quarterly Journal of Economics*, 126(2), 699–748. ; Angrist, J. D., Dynarski, S. M., Kane, T. J., Pathak, P. A., & Walters, C. R. (2010). Inputs and Impacts in Charter Schools: KIPP Lynn. *the American Economic Review*, 100(2), 239–243. ; Curto, V. E., & Fryer, R. G. (2011). *Estimating the Returns to Urban Boarding Schools: Evidence from SEED*. ; Dobbie, W., & Fryer, R. G. (2015). The Medium-Term impacts of High-Achieving Charter Schools. *Journal of Political Economy*, 123(5), 985–1037. ; Abdulkadiroglu, A., Angrist, J. D., Hull, P. D., & Pathak, P. A. (2016). Charters without Lotteries: Testing Takeovers in New Orleans and Boston. *the American Economic Review*, 106(7), 1878–1920. ; Walters, C. R. (2018). The demand for effective charter schools. *Journal of Political Economy*, 126(6), 2179–2223.

51. Rahim, B. (2019). Decentralized decision making and educational outcomes in public schools. *International Journal of Educational Management*, 33(7), 1625–1640. ; Hanushek, E. A., Link, S., & Woessmann, L. (2013). Does school autonomy make sense everywhere? Panel estimates from PISA. *Journal of Development Economics*, 104, 212–232.

და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. სკოლის არჩევის შესაძლებლობა კი ხელს უწყობს კონკურენციას სკოლებს შორის მომსახურების მიწოდებაში. მეორე, კონკურენტულ გარემოში სკოლები ცდილობენ, უფრო მეტად მოერგონ მომხმარებელთა ინტერესებს. სკოლის არჩევა კი შესაძლებლობაა, მშობელმა შვილისთვის ყველაზე მეტად შესაფერისი სკოლა შეარჩიოს, რაც სწავლის შედეგების გაუმჯობესების საწინდარია.

ფართო ემპირიული ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა აჩვენებს, რომ სკოლის არჩევას დადებითი გავლენა აქვს სასკოლო შედეგებზე, როგორიცაა სტუდენტების მიღწევები წიგნიერებაში, არითმეტიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. ამასთან, არსებული ლიტერატურის ანალიზი მიუთითებს, რომ სკოლის განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ეფექტიანი პოლიტიკა არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

არჩევანის შესაძლებლობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია და სხვებთან შედარებით, უფრო მაღალი ეფექტი აქვს ვაუჩერული დაფინანსების მოდელს. აღნიშნული კი გულისხმობს ერთ მოსწავლეზე განაწილებულ საჯარო დაფინანსებას, რომლის მიღება თანაბარ პირობებში შეუძლიათ საჯარო და კერძო სკოლებს.

სკოლის არჩევის საშუალებით სათანადო კონკურენციის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია და სკოლების ფართო ავტონომია, რომელთა მნიშვნელობასაც ემპირიული ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა ადასტურებს.


საერთო ჯამში, არსებული აკადემიური ლიტერატურა აჩვენებს, რომ დეცენტრალიზაციას და სკოლების ავტონომიის გაფართოებას დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეთა სასკოლო შედეგებზე.

3.

სასკოლო განათლება ევროკავშირში

ევროკავშირის ქვეყნებში სასკოლო განათლების დონე, მთელი რიგი შეფასებით, მაღალია და აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებს. მაგალითად, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა შეფასების მონაცემები აჩვენებს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტეს შემთხვევაში, სასკოლო განათლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეების მიღწევა საერთაშორისო სტანდარტებს აღემატება.

გრაფიკი 9: დაწყებითი განათლების საფეხურზე იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც მოწინავე საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)



წყარო: Mullis, I. V. S., Martin, M. O., Foy, P., & Arora, A. (2019). TIMSS 2019 International Results in Mathematics. *International Association for the Evaluation of Educational Achievement*.

გარდა ამისა, ოთხი სხვადასხვა შეფასების აგრეგირებით მიღებული ჰარმონიზებული ტესტების შედეგები აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი შედეგების მქონე


ნე პირველ ოცეულში, 11 ქვეყანა ევროკავშირის წევრია⁵². მაღალი შეფასებები ნაჩვენებია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების რეიტინგებშიც⁵³.

თუმცა ევროკავშირში სასკოლო განათლების საერთო პოლიტიკა არ არსებობს. ყველა წევრ სახელმწიფოს დამოუკიდებლად შეუძლია განსაზღვროს ეროვნულ დონეზე არა მხოლოდ სასკოლო განათლება, არამედ განათლების ყველა საფეხურის პოლიტიკა. ამიტომ ევროკავშირში, ქვეყნებს შორის განათლების პოლიტიკის ნაწილში, არის როგორც განსხვავებები, ისე მსგავსებები მიდგომებსა თუ პრინციპებში.

3.1 სასკოლო განათლების დაფინანსების სისტემა

ერთი შეხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეთა მაღალი მიღწევები სასკოლო განათლებაში დახარჯული რესურსებით არის განპირობებული, მაგრამ სურათი განსხვავებულია. ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებშიც დახარჯულ რესურსებსა და განათლების შედეგებს შორის კავშირი არ ვლინდება⁵⁴.

გრაფიკი 10: სასკოლო განათლებაში ერთ მოსწავლეზე საჯარო დანახარჯების წილი, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან მიმართებით, 2016 წელი (%)



წყარო: UNESCO Institute for Statistics; World Bank; Patrinos, H. A., & Angrist, N. (2018). Global Dataset on Education Quality: A Review and Update (2000–2017). In *World Bank*, Washington, DC eBooks.

52. Patrinos, H. A., & Angrist, N. (2018). Global Dataset on Education Quality: A Review and Update (2000–2017). In *World Bank*, Washington, DC eBooks.

53. PISA. (2022). *Programme for International Student Assessment/Internationale Schulleistungsstudie*.

54. Patrinos, H. A., & Angrist, N. (2018). Global Dataset on Education Quality: A Review and Update (2000–2017). In *World Bank*, Washington, DC eBooks. ; Hanushek, E. A. (2003). The failure of input-based schooling policies. *the Economic Journal/Economic Journal*, 113(485), F64–F98. ; Hanushek, E. A., & Kimko, D. D. (2000). Schooling, Labor-Force quality, and the growth of nations. *the American Economic Review*, 90(5), 1184–1208. ; Hanushek, E. A., & Woessmann, L. (2016). School Resources and Student Achievement: A Review of Cross-Country Economic Research. In *Methodology of educational measurement and assessment (Online)* (pp. 149–171).

მაგალითად, 2018 წელს მალტაში, დაწყებითი განათლების საფეხურზე, ერთ მოსწავლეზე დახარჯული საჯარო რესურსი იყო ერთ სულ მოსახლეზე განაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტის 31.9%, მაგრამ ამ ქვეყნის მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში საერთაშორისო სტანდარტზე დაბლა დაფიქსირდა. საპირისპიროდ, ირლანდია სასკოლო განათლების საჯარო დანახარჯების დაბალი და მოსწავლეთა მაღალი მიღწევებით გამოირჩევა. ამ ქვეყანაში, დაწყებითი განათლების საფეხურზე, ერთ მოსწავლეზე დანახარჯი არის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის 11.8%, მაგრამ განათლების ამავე საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევებით, არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ, გლობალურად, ირლანდია მოწინავე ქვეყანაა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საშუალო განათლების დანახარჯების დიდი ნაწილი საჯარო წყაროებით არის უზრუნველყოფილი. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ხარჯები, თითქმის მთლიანად, მათ შორის, კერძო სექტორში, ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური რესურსებია. ამის მიზეზი სასკოლო განათლების დაფინანსებისა და მიწოდების ნაწილობრივ განცალკევებაა. კონკრეტულად, სასკოლო განათლების ხარჯებს უზრუნველყოფს მთავრობა, მაგრამ უშუალოდ განათლების მიწოდებაში ჩართულია კერძო სექტორი, რომლის როლი, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, მზარდია⁵⁵. ეს კი განპირობებულია სკოლის არჩევის შესაძლებლობის გაფართოებით, როდესაც თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილია დაფინანსება, რომლის გამოყენებაც მშობლებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლაში სწავლებისთვის (ვაუჩერული სისტემა)⁵⁶.


მაგალითად, ბელგიის ფლამანდიურ სასკოლო განათლებაში დიდი ხანია არსებობს მშობლების მიერ შვილისთვის სკოლის თავისუფალი არჩევის ტრადიცია. სავალდებულო სასკოლო განათლების მიწოდებაში სამი ძირითადი პროვაიდერია ჩართული: კერძო, სათემო და მუნიციპალური/პროვინციული სკოლები (იხ. გრაფიკი 11). მათ შორის, ყველაზე მეტი კერძო სკოლაა, რომლებიც, ძირითადად, კათოლიკური დენომინაციის კერძო ფონდების მიერ იმართება. მოსწავლეთა დაახლოებით 2/3 სავალდებულო სასკოლო განათლებას სწორედ

55. Musset, P. (2012). School choice and equity. *OECD Education Working Papers*.

56. Boeskens, L. (2016). Regulating publicly funded private schools. *OECD Education Working Papers*. ; OECD. (2011). Education At A Glance 2011. In Education at a Glance. OECD Indicators/Education at a Glance.

ასეთ სკოლებში იღებს. დანარჩენი 1/3 კი მუნიციპალურ/პროვინციულ საჯარო და სათემო სკოლებში სწავლობს⁵⁷. ამასთან, ყველა სკოლაში განათლების მიღება დაფინანსებულია საჯარო რესურსებით⁵⁸.

გრაფიკი 11: სკოლების რაოდენობა ბელგიის ფლამანდიურ სისტემაში



წყარო: Flemish Department of Education and Training (Departement Onderwijs en Vorming)

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო შეფასებებში ძლიერ საერთო შედეგებს სწორედ ბელგიის ფლამანდიური სასკოლო განათლების სისტემა ავლენს. დაწყებითი განათლების საფეხურზე ფლამანდიური თემის მოსწავლეები განსაკუთრებით მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან. გლობალურად, მათემატიკაში მიღწევებით ბელგიის ფლამანდიური სასკოლო განათლების მოსწავლეები საუკეთესო ათეულში შედიან და მათზე უკეთესი შედეგები მხოლოდ ხუთი ქვეყნის მოსწავლეებს აქვთ⁵⁹.

57. Nusche, D., Miron, G., Santiago, P., & Teese, R. (2015). OECD Reviews of School Resources: Flemish Community of Belgium 2015. In *OECD reviews of school resources*

58. Nusche, D., Miron, G., Santiago, P., & Teese, R. (2015). OECD Reviews of School Resources: Flemish Community of Belgium 2015. In *OECD reviews of school resources (Online)*. ; Boeskens, L. (2016). Regulating publicly funded private schools. *OECD Education Working Papers*. ; Miron, G., Welner, K. G., Hinchey, P. H., & Mathis, W. J. (2012). *Exploring the School Choice Universe: Evidence and recommendations*.

59. Mullis, I. V. S., Martín, M. O., Foy, P., & Arora, A. (2012). TIMSS 2011 International Results in Mathematics. *International Association for the Evaluation of Educational Achievement*.

ცხრილი 2: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)


საერთაშორისო სტანდარტი	საგანი	ბელგია (ფლ)	საერთაშორისო მედიანური
დაბალი	მათემატიკა	97	92
	საბუნებისმეტყველო	92	92
საშუალო	მათემატიკა	80	71
	საბუნებისმეტყველო	66	71
მაღალი	მათემატიკა	40	34
	საბუნებისმეტყველო	24	32
მოწინავე	მათემატიკა	8	7
	საბუნებისმეტყველო	2	6

წყარო: Mullis, I. V. S., Martín, M. O., Foy, P., & Arora, A. (2019). TIMSS 2019 International Results in Mathematics. *International Association for the Evaluation of Educational Achievement*.

მსგავსი სიტუაციაა ნიდერლანდებშიც, სადაც განათლების სისტემა თავისუფლების მაღალი ხარისხით ხასიათდება, რაც ჯერ კიდევ 1917 წლიდან კონსტიტუციით არის გარანტირებული. ამ პერიოდიდან განსაზღვრულია მშობელთა თავისუფალი არჩევანი და თანაბარი შესაძლებლობები საჯარო და კერძო სკოლებისთვის. ორივე – საჯარო და კერძო – სკოლა სამთავრობო რესურსებით თანაბარი დონით ფინანსდება, ხოლო მშობლებს ამ დაფინანსებით ნებისმიერი სკოლის არჩევა შეუძლიათ⁶⁰.

60. Patrinos, H. A. (2013). Private education provision and public finance: the Netherlands. *Education Economics*, 21(4), 392–414. ; European Commission. (2023). *Eurydice Network: National Education Systems*. Eurydice. Retrieved March 29, 2024.

გრაფიკი 12: ნიდერლანდებში დაწყებითი და საბაზო განათლების სკოლები (ათასი ერთეული)



წყარო: ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური

სკოლის არჩევის შესაძლებლობის პირობებში, სასკოლო განათლების მიწოდებაში კერძო სკოლების როლი მაღალია. სკოლების 70%-მდე კერძო საბჭოების მიერ იმართება⁶¹. თავის მხრივ, კერძო სკოლაში სასკოლო განათლების მიღება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასოცირებულია მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში უფრო მაღალ შედეგებთან⁶².

ევროკავშირში კიდევ ერთი გამორჩეული ქვეყანა შვედეთია. გასული საუკუნის ბოლოს შვედეთში სასკოლო განათლების ფუნდამენტური რეფორმა განხორციელდა, რაც ამ უკანასკნელის დეცენტრალიზაციასა და მშობლებისთვის სკოლის არჩევანის გაფართოებას გულისხმობდა.

რეფორმამდე შვედეთი სასკოლო განათლების მიწოდებას თითქმის სრულად უზრუნველყოფდა მუნიციპალური სკოლებით, რომელთა არჩევა მშობლებს მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული არეალის ფარგლებში შეეძლოთ. მუნიციპალური სკოლები ცენტრალური მთავრობისგან ფინანსდებოდნენ და საქმიანობას ეწეოდნენ ცენტრალური მთავრობის მკაცრი წესებისა და რეგულაციების პირობებში⁶³.


61. ზოგადი განათლების ჰოლანდიურ სისტემაში ყველაზე მეტი რაოდენობის სპეციალური სკოლაა, რომლებიც არასაჯაროა. ასეთ სკოლას სპეციალური ეწოდება, რადგან სწავლება დაფუძნებულია რელიგიურ ან ფილოსოფიურ რწმენაზე.

62. Patrinos, H. A. (2013). Private education provision and public finance: the Netherlands. *Education Economics*, 21(4), 392–414.; Levin, J. (2004). *Differences in Educational Production Between Dutch Public and Religious Schools*. National Center for the Study of Privatization in Education Teachers College.

63. Sandström, F. M., & Bergström, F. (2005). School vouchers in practice: competition will not hurt you. *Journal of Public Economics*, 89(2–3), 351–380.

რეფორმების შედეგად კი სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია განხორციელდა და ვაუჩერული სისტემა დაინერგა. რეფორმის შემდეგ, ყველა სკოლა ერთ მოსწავლეზე დაფუძნებით, ვაუჩერული მოდელით იღებს დაფინანსებას, ხოლო მშობლებს თავისუფლად შეუძლიათ შვილებისთვის სკოლის არჩევა⁶⁴. ამასთან, ასეთ დამოუკიდებელ სკოლებს უფლება აქვთ, გადაუხვიონ ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ ვალდებულია აკისრიან, ღია დარჩნენ ყველა მოსწავლისთვის და არ დაუწესონ სწავლის დამატებითი გადასახადი. გატარებული რეფორმის შედეგად, მკვეთრად გაიზარდა კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც (იხ. გრაფიკი 13) და სკოლებს შორის კონკურენციაც.

გრაფიკი 13: შვედეთში საბაზო და საშუალო განათლების დონეზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)



წყარო: UNESCO Institute for Statistics; World Bank

კვლევები აჩვენებს, რომ რეფორმა დადებითად აისახა მოსწავლეთა მიღწევებზე⁶⁵. რეფორმის შემდეგ, მდგომარეობა არა მხოლოდ კერძო სკოლების ხარჯზე გაუმჯობესდა, არამედ სკოლებს შორის კონკურენციის შედეგად⁶⁶.


64. Miron, G. (1993). *Choice and the Use of Market Forces in Schooling: Swedish Education Reforms for the 1990s*. Institute of International Education, Stockholm University.

65. Ahlin, A. (2003). *Does school competition matter? Effects of a Large-Scale School Choice Reform on Student Performance*. ; Böhlmark, A., & Lindahl, M. (2007). The impact of school choice on pupil achievement, segregation, and costs: Swedish evidence. *Social Science Research Network*. ; Böhlmark, A., & Lindahl, M. (2015). Independent Schools and Long-run Educational Outcomes: Evidence from Sweden's Large-scale Voucher Reform. *Economica*, 82(327), 508–551.

66. Sandström, F. M., & Bergström, F. (2005). School vouchers in practice: competition will not hurt you. *Journal of Public Economics*, 89(2–3), 351–380.

ევროკავშირიდან კიდევ ერთი სამაგალითო ქვეყანაა დანია, სადაც რამდენიმე ასეული წელია, კონსტიტუცია განამტკიცებს მშობლის თავისუფლებას, აირჩიოს სკოლა, იქნება ეს რელიგიური, პედაგოგიური, პოლიტიკური თუ სხვა მიზეზებით⁶⁷. დანიური სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა იმ რწმენით, რომ მშობლის უფლებამოსილება შვილის განათლებაზე არის უზენაესი და დემოკრატიული მთავრობის მიერ კონტროლირებული სისტემა ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი, თუ არ იარსებებს საჯარო რესურსებით დაფინანსებული კერძო ალტერნატივა⁶⁸. ამიტომ, ჯერ კიდევ 1899 წლიდან, კერძო სკოლები იღებდნენ საჯარო დაფინანსებას⁶⁹. დანიის კერძო სკოლებისთვის მთავარი დამახასიათებელია ფართოდ გავრცელებული დაფინანსების გულუხვი ვაუჩერული სისტემა⁷⁰, შერწყმული სასწავლო გეგმისა და სწავლის მეთოდების ჩამოყალიბების ფართო თავისუფლებასთან. კერძო სკოლას შეუძლია სასკოლო განათლების მოწყობა და უზრუნველყოფა საკუთარი რელიგიური ან პედაგოგიური შეხედულების მიხედვით⁷¹.

გრაფიკი 14: დანიაში საბაზო განათლების საფეხურზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)



წყარო: Danmarks Statistik ; Undervisningsminister

67. Olsen, T. V. (2015). The Danish free school tradition under pressure. *Comparative Education*, 51(1), 22–37; Wiborg, S., & Larsen, K. R. (2017). Why School Choice Reforms in Denmark Fail: the blocking power of the teacher union. *European Journal of Education*, 52(1), 92–103.

68. Wiborg, S., & Larsen, K. R. (2017). Why School Choice Reforms in Denmark Fail: the blocking power of the teacher union. *European Journal of Education*, 52(1), 92–103.

69. Boeskens, L. (2016). Regulating publicly funded private schools. *OECD Education Working Papers*.

70. Rangvid, B. S. (2008). Private school diversity in Denmark's national voucher system. *Scandinavian Journal of Educational Research*, 52(4), 331–354.

71. European Commission. (2023). *Eurydice Network: National Education Systems*. Eurydice. Retrieved March 29, 2024.

1992 წელს დანიაში კერძო სკოლების დაფინანსების ვაუჩერული სისტემა დაინერგა, რომელიც საშუალო სასკოლო განათლების ხარჯების დაახლოებით 80%-ს ფარავს, ხოლო კერძო სკოლებს დამატებითი საფასურის დაწესების უფლება აქვთ⁷². ამის შემდეგ, შესამჩნევი გახდა საშუალო განათლების მიწოდებაში კერძო სკოლების კონტრიბუციის ზრდა (იხ. გრაფიკი 14). ნიშანდობლივია, რომ კვლევების თანახმად, დანიაში, ერთი და იმავე სოციოეკონომიკური ფონის მქონე მოსწავლეებს, კერძო სკოლებში უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე საჯარო სკოლებში⁷³. ამასთან, დანია სწორედ იმ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, სადაც, საერთაშორისო შეფასებებით, განათლების ხარისხი მაღალია. კერძოდ, დაწყებითი განათლების საფეხურზე მოსწავლეები საერთაშორისო სტანდარტზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით.

ცხრილი 3: დაწყებითი განათლების იმ მოსწავლეთა წილი, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტს მიაღწიეს (%)

საერთაშორისო სტანდარტი	საგანი	დანია	საერთაშორისო მედიანური
დაბალი	მათემატიკა	95	92
	საბუნებისმეტყველო	96	92
საშუალო	მათემატიკა	75	71
	საბუნებისმეტყველო	76	71
მაღალი	მათემატიკა	37	34
	საბუნებისმეტყველო	36	32
მოწინავე	მათემატიკა	8	7
	საბუნებისმეტყველო	6	6


წყარო: Mullis, I. V. S., Martín, M. O., Foy, P., & Arora, A. (2019). TIMSS 2019 International Results in Mathematics. *International Association for the Evaluation of Educational Achievement*.

72. Epple, D., Romano, R., & Urquiola, M. (2017). School Vouchers: A Survey of the Economics Literature. *Journal of Economic Literature*, 55(2), 441–492. ; Wiborg, S., & Larsen, K. R. (2017). Why School Choice Reforms in Denmark Fail: the blocking power of the teacher union. *European Journal of Education*, 52(1), 92–103.

73. Andersen, S. C. (2008). Private Schools and the Parents that Choose Them: Empirical Evidence from the Danish School Voucher System. *Scandinavian Political Studies*, 31(1), 44–68.

კიდევ ერთი მაგალითია ესტონეთი, სადაც, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გატარებული რეფორმების ხარჯზე, საგანმანათლებლო სისტემა, სკოლის არჩევის თავისუფლებითა და დაფინანსების მოდელით, ევროკავშირში ერთ-ერთი გამორჩეულია. ესტონეთში კერძო სკოლა იღებს საჯარო დაფინანსებას იმავე პირობებით, როგორც ამას საჯარო სკოლები იღებენ. ასევე, კერძო სკოლებს დამატებითი სწავლის საფასურის დაწესება შეუძლიათ, ხოლო მშობლებს უფლება აქვთ, კერძო სკოლაში შვილის საფასურის ხარჯი დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითონ⁷⁴. ცენტრალური მთავრობა კერძო სკოლებს აძლევს გრანტს მასწავლებელთა ხელფასებისთვის იმავე გამოთვლებით, რომლითაც მუნიციპალურ სკოლებს. ხოლო, 2011 წლიდან მუნიციპალიტეტები, თავიანთ იურისდიქციაში მყოფ კერძო სკოლებს, ერთ მოსწავლეზე გათვლით (ვაუჩერული სისტემა), აძლევენ დაფინანსებას საოპერაციო ხარჯების დასაფარავად⁷⁵.

გრაფიკი 15: ესტონეთში საბაზო და საშუალო განათლების დონეზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა წილი (%)




წყარო: UNESCO Institute for Statistics; World Bank

ყოფილი სოციალისტური ბანაკიდან, უპრიანია ჩეხეთის განათლების სისტემის რეფორმის განხილვაც, სადაც, ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, განათლების სისტემის ძირეული რეფორმა ჩატარდა.

74. European Commission. (2023). *Eurydice Network: National Education Systems*. Eurydice. Retrieved March 29, 2024.

75. OECD. (2017). *School choice and school vouchers: An OECD perspective*. OECD Publishing. ; Santiago, P., Levitas, A., Radó, P., & Shewbridge, C. (2016). OECD Reviews of School Resources: Estonia 2016. In *OECD reviews of school resources* (Online).

გრაფიკი 16: ჩეხეთის საშუალო განათლების არასაჯარო სკოლების წილი, %

წყარო: Vývojová ročenka školství v ČR

რეფორმის პირველი ნაბიჯი იყო მოქნილობა და გადაწყვეტილების მიღების დელეგირება მშობლებისა და სკოლებისთვის. მეორე და რეფორმის საკვანძო ნაწილს კი საჯარო სკოლების მონოპოლიის მოშლა წარმოადგენდა, არასაჯარო სკოლების (კერძო და რელიგიური) დაშვებით. უნივერსალური ვაუჩერული სისტემის დანერგვასთან ერთად, ამან არა მხოლოდ კერძო და რელიგიური სკოლების ზრდა გამოიწვია (იხ. გრაფიკი 16), არამედ უზრუნველყო სკოლებს შორის კონკურენცია, რომლის დადებითი შედეგები სკოლებში (მათ შორის, საჯარო) ხარისხის გაუმჯობესებითა და ეფექტიანობის ზრდით დასტურდება⁷⁶.

3.2 დეცენტრალიზაცია სასკოლო განათლებაში

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებში აქტიურად დაიწყო სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია, რისთვისაც ბევრი მიზეზი არსებობდა⁷⁷. მათ შორის იყო:

- გაუმჯობესებული ეფექტიანობა და ფინანსური კონტროლი;
- შემცირებული ბიუროკრატია და ადმინისტრაციული პროცედურები;

76. Filer, R. K., & Münich, D. (2013). Responses of private and public schools to voucher funding. *Economics of Education Review*, 34, 269–285.

77. Daun, H. (2007). School decentralization in the context of globalizing governance. *Springer eBooks*. ; Education At a Glance (2012). In *Education at a glance. OECD indicators (English ed.)*. ; Van Amelsvoort, H., & Scheerens, J. (1997). Policy issues surrounding processes of centralization and decentralization in European education systems. *Educational Research and Evaluation*, 3(4), 340–363.

- ადგილობრივი სპეციფიკა და გაუმჯობესებული რეაგირება საჭიროებებზე;
- ადამიანური რესურსების უფრო შემოქმედებითი მართვა;
- გაუმჯობესებული ინოვაციური პოტენციალი;
- უკეთესი სტიმული სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.


სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციის შემადგენელი იყო არა მხოლოდ ძალაუფლების გადაცემა ცენტრალურიდან ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, არამედ თავად სკოლების ავტონომიის გაფართოება.

ევროკავშირის ქვეყნებში სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი ორივე კომპონენტში – გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებისა და განათლების საჯარო დანახარჯების განაწილებაში – აისახება (იხ. დანართში ცხრილი 3 და ცხრილი 7). წევრი ქვეყნების 1/3-ზე მეტის შემთხვევაში, განათლების მთლიანი საჯარო დანახარჯების 1/2-ზე მეტი ადგილობრივი ბიუჯეტების კონტრიბუციაა, ხოლო წევრი სახელმწიფოების ნახევარში, ასეთ ხარჯებში ადგილობრივი მთავრობების ფინანსური რესურსების 1/3-ზე მეტია.

გარდა იმისა, რომ, ძირითადად, სასკოლო განათლების უფლებამოსილება ადგილობრივი მთავრობების კომპეტენციაა, უშუალოდ სკოლები ფართო ავტონომიით გამოირჩევიან, რაც გულისხმობს ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვას, დაგეგმვასა და სწავლების ორგანიზებასთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილების მიღებას სკოლის დონეზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სკოლები ფართო ავტონომიით გამოირჩევიან სწავლის ორგანიზების ნაწილში. წევრი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწავლის ორგანიზებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით, სკოლის დონეზე მიიღება. მაგალითად, ნიდერლანდებში, ესტონეთსა და ჩეხეთში სწავლის ორგანიზებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სკოლის დონეზე წყდება (იხ. გრაფიკი 17).

გრაფიკი 17: სწავლის ორგანიზება – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)




წყარო: Education At a Glance (2012). In *Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.

ბელგიაში კონსტიტუცია ნებისმიერ პირს ანიჭებს უფლებას, მოაწყოს სკოლა, დაიქირაოს თანამშრომლები და განსაზღვროს სკოლის პრინციპები, საგანმანათლებლო, რელიგიური თუ იდეოლოგიური კუთხით. გარდა ამისა, სკოლები მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობენ სასწავლო გეგმის განვითარებასა და სწავლების ორგანიზების მიმართულებით⁷⁸. სწორედ ბელგიის სასკოლო სისტემის ავტონომიის ემპირიული შესწავლა ავლენს მტკიცებულებას, რომ სკოლების ავტონომიას სასკოლო განათლების შედეგებზე ძლიერი დადებითი გავლენა აქვს⁷⁹.

78. Nusche, D., Miron, G., Santiago, P., & Teese, R. (2015). OECD Reviews of School Resources: Flemish Community of Belgium 2015. In *OECD reviews of school resources*; OECD. (2017). *School choice and school vouchers: An OECD perspective*. OECD Publishing.

79. Verschelde, M., Hindriks, J., Rayp, G., & Schoors, K. (2015). School staff autonomy and Educational Performance: Within-School-Type Evidence. *Fiscal Studies*, 36(2), 127–155.

გრაფიკი 18: პერსონალის მართვა – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)



წყარო: Education At a Glance (2012). In *Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.

დეცენტრალიზაციის კუთხით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პერსონალის მართვასთან (პერსონალის დაქირავება, გათავისუფლება, ხელფასის განსაზღვრა, სამუშაო პირობების დადგენა) დაკავშირებული უფლებამოსილებებია. ამ ნაწილში გამორჩეულია ნიდერლანდები, სადაც პერსონალის მართვის ყველა საკითხი სკოლის გადასაწყვეტია (იხ. გრაფიკი 18).


მსგავსი ქვეყანაა ესტონეთი, სადაც პერსონალთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დაახლოებით 75% სკოლის დონეზე მიიღება, დანარჩენი კი მუნიციპალური დონის უფლებამოსილებებზეა⁸⁰. ესტონეთის განათლების სისტემაში სკოლის დირექტორს შეუძლია დანიშნოს და მოხსნას თანამშრომელი. მას შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია, ადგილობრივი კონტექსტისა და გარემოებების გათვალისწინებით. მუნიციპალური ორგანოების კონტროლისგან დირექტორებს იცავს სკოლის დაფინანსების მოდელი⁸¹. ესტონეთის სკოლების ექსპერიმენტული მეთოდით შესწავლა ადასტურებს სკოლის ავტონომიის

80. *Education At a Glance (2012). In Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.

81. OECD. (2017). *School choice and school vouchers: An OECD perspective*. OECD Publishing. ; Santiago, P., Levitas, A., Radó, P., & Shewbridge, C. (2016). *OECD Reviews of School Resources: Estonia 2016*. In *OECD reviews of school resources (Online)*.

დადებით გავლენას მოსწავლეთა წიგნიერებაზე, მათემატიკურ აზროვნებასა და პრობლემის გადაწყვეტის უნარების განვითარებაზე⁸².

გრაფიკი 19: რესურსების მართვა – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)



წყარო: Education At a Glance (2012). *In Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.


სკოლის სხვა რესურსების განაწილებისა და გამოყენების შესახებ, ცენტრალურ დონეზე, გადაწყვეტილებებიც ნაკლებად მიიღება და სასკოლო განათლების მართვის ეს ნაწილიც შედარებით დეცენტრალიზებულია. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ნიდერლანდებში, ამგვარი რესურსების შესახებ ყველა გადაწყვეტილება სკოლის უფლებამოსილებაა, ხოლო ესტონეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, შვედეთსა და უნგრეთში მსგავსი გადაწყვეტილებების ძალაუფლება სკოლასა და მუნიციპალურ მთავრობებს შორის არის განაწილებული (იხ. გრაფიკი 19).

შედარებით დაბალი დეცენტრალიზაციითა და ნაკლები ავტონომიით ხასიათდება დაგეგმვისა და სტრუქტურული მოწყობის სფერო. საშუალოდ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სკოლის გახსნა ან დახურვა, აკრედიტაცია და პროგრამების დიზაინის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, სკოლებს ნაკლებად აქვთ. თუმცა ამ ნაწილშიც შედარებით ფართო ავტონომიით გამოირჩევა

82. Byrne, K., & Plekhanov, A. (2021). Education reforms and adult skills: Evidence from Estonia. *Economics of Education Review*, 82, 102106.

ბელგიის ფლამანდიური თემის, ჩეხეთის, ესტონეთის, სლოვაკეთისა და ნიდერლანდების საჯარო სკოლები (იხ. გრაფიკი 20).


გრაფიკი 20: დაგეგმვა და სტრუქტურები – მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)



წყარო: Education At a Glance (2012). *In Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.

საერთო ჯამში, ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში ძირითადი გადაწყვეტილებები, უფრო ხშირად, სკოლის დონეზე მიიღება (იხ. გრაფიკი 21). ამ მხრივ, ალ-სანიშნავია ნიდერლანდები, სადაც ძირითადი გადაწყვეტილებების 86%-ს ადგილზე სკოლის ხელძღვანელი ან მმართველი ორგანო იღებს. გარდა ნიდერლანდებისა, ამ კუთხით, გამოკვეთილია ესტონეთის (76%), ბელგიის ფლამანდიური თემისა (71%) და ჩეხეთის (68%) სკოლების მაღალი ავტონომია.

გრაფიკი 21: მთავრობის თითოეულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წილი საჯარო საბაზო განათლებაში, 2011 (%)



წყარო: Education At a Glance (2012). *In Education at a glance. OECD indicators (English ed.)*.

საპირისპირო მდგომარეობით, გადაწყვეტილებების ცენტრალურ დონეზე მიღებით კი ლუქსემბურგი (87%), საბერძნეთი (78%), პორტუგალია (78%) და ბელგიის ფრანგული თემი (72%) ხასიათდება. ხოლო, მაგალითად, დანიასა და შვედეთში, გადაწყვეტილებების უდიდესი ნაწილი შედარებით თანაბრად – მუნიციპალურ (33.6% და 35.3%) და სკოლის (44.1% და 47.2%) დონეზე მიიღება.

3.3 სახლში სწავლება

ევროკავშირის ზოგადი განათლების სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სახლში სწავლება. სახლში სწავლების ემპირიული შესწავლა კი ამ უკანასკნელის დადებით გავლენაზე მიუთითებს⁸³. მაგალითად, სახლში სწავლების მიმღები ბავშვების სტანდარტიზებული ტესტის ქულები უკეთესია, ვიდ-

83. Ray, B. D. (2017). A systematic review of the empirical research on selected aspects of homeschooling as a school choice. *Journal of School Choice*, 11(4), 604–621. ; Ray, B. D. (2013). Homeschooling Associated with Beneficial Learner and Societal Outcomes but Educators Do Not Promote It. *Peabody Journal of Education*, 88(3), 324–341.

რე ტრადიციული საჯარო სკოლის მაჩვენებლები⁸⁴. თუმცა სახლში სწავლება, პირველ რიგში, არის ბავშვის განათლებაში მშობლის დომინანტური როლის ინდიკატორი და არსებული სისტემიდან „გაქცევის“ შესაძლებლობა. ევროპული ქვეყნები ერთმანეთისგან ამ ნაწილშიც განსხვავდებიან. ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნიდან, 18 სახელმწიფოში სრულად დაშვებულია, რომ ბავშვმა განათლება, სკოლის ნაცვლად, სახლში მიიღოს, ხოლო დანარჩენ 9-ში სახლში სწავლება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი⁸⁵. ამასთან, თითქმის ყველა ქვეყანაში, სახლში სწავლება რეგულირებულია სხვადასხვა ფარგლებში და სხვადასხვა დონით (იხ. დანართში ცხრილი 4).

იმ 18 ქვეყნიდან, რომლებშიც სახლში სწავლა სამართლებრივად ნებადართულია, 12-ში რეგისტრაციას ადგილობრივი მთავრობა ან უშუალოდ სკოლა ახორციელებს, 4 ქვეყანაში – ცენტრალური ან რეგიონული მთავრობა, ხოლო დანარჩენი ორის შემთხვევაში ასეთი მოთხოვნა არ არსებობს. მაგალითად, სლოვენიაში, თუ მშობელს სურს, შვილს სახლში ასწავლოს, ამის შესახებ მარტივი ფორმით, წერილობით უნდა აცნობოს საბაზო სკოლას. სხვა ვალდებულება არ არსებობს.

განათლების სახლში მიწოდებისთვის, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, აღმზრდელს მასწავლებლის კვალიფიკაცია ან განათლების მინიმალური დონე მოეთხოვება. მაგალითად, სლოვაკეთში აღმზრდელი უნდა ფლობდეს მასწავლებლის კვალიფიკაციას, ხოლო ჩეხეთსა და იტალიაში – განათლების მინიმალურ დონეს. იმ ქვეყნებში კი, სადაც აღმზრდელის კვალიფიკაცია არ არის მოთხოვნილი, მშობლებს აქვთ სრული ავტონომია, აირჩიონ, ვინ იქნება მათი შვილების განათლებაზე პასუხისმგებელი. მაგალითად, ასეთ ქვეყნებს შორის არის დანია.

84. Ray, B. D. (1990). *A nationwide study of home education: Family characteristics, legal matters, and student achievement*. National Home Education Institute, Western Baptist College. ; Ray, B. D. (1994). *A nationwide study of home education in Canada: Family characteristics, student achievement, and other topics*. National Home Education Institute, Western Baptist College. ; Ray, B. D. (2000). Home Schooling: The Amplifier of Negative Influences on Learning? *Peabody Journal of Education*, 75(1/2), 71–106. ; Ray, B. (2010). Academic Achievement and Demographic Traits of homeschool Students: a Nationwide study. *Academic Leadership*; Rudner, L. M. (1999). Achievement and Demographics of home school Students: 1998. *Education Policy Analysis Archives*, 7, 8. ; Wartes, J. (1990). Recent results from the Washington Homeschool Research Project. *Home School Researcher*, 6(4), 1–7. ; Cogan, M. F. (2010). Exploring Academic Outcomes of Homeschooled Students. *Journal of College Admission*.

85. საგამონაკლისო შემთხვევები, ძირითადად, უკავშირდება ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგალითად, გერმანიაში სახლში სწავლა დაშვებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე, ავადობიდან გამომდინარე, სკოლაში სიარულს ვერ ახერხებს. ასეთი მდგომარეობაა ესპანეთში, ხორვატიაში, კვიპროსსა და შვედეთში, მაგრამ ნიდერლანდებში, საგამონაკლისო მიზეზებს შორის, შეიძლება იყოს მშობლების პროტესტი მათი რეგიონის სკოლების ფილოსოფიურ ხედვაზე.

აღსანიშნავია, რომ დანიაში მშობლების უფლება, მისცენ თავიანთ შვილებს განათლება სახლში, დიდი ხანია, რაც კონსტიტუციის დონეზეა უზრუნველყოფილი და ამ პროცესის რეგულირება მინიმალურია: თუ მშობელს სურს შვილის სახლში განათლებით უზრუნველყოფა, მას ერთადერთი რამ მოეთხოვება – ამის თაობაზე წერილობით შეატყობინოს ადგილობრივ მთავრობას⁸⁶. თუმცა, ვინაიდან განათლების სისტემა დანიაში დეცენტრალიზებული და მრავალფეროვანია, მშობლები ნაკლებად მიმართავენ სახლში სწავლების ალტერნატივას⁸⁷.

განათლების მიღება სახლში სწავლით ლეგალურია ესტონეთშიც, მაგრამ რეგულირებული. სახლში სწავლება ორი მიზეზით – სამედიცინო მდგომარეობითა და მშობლის სურვილით – შეიძლება. პირველ შემთხვევაში, საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას სკოლის ხელმძღვანელი იღებს და უზრუნველყოფილია საჯარო დაფინანსებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, სახლში სწავლებაზე ორგანიზაციულად და ფინანსურად პასუხისმგებელი მშობელია⁸⁸. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მშობელი ვალდებულია, ბავშვი სკოლაში დაარეგისტრიროს, ხოლო სკოლა კი ბავშვის სწავლების პროგრესის ინსპექტირებას ახორციელებს. თუ სკოლა შედეგებით უკმაყოფილო იქნება, მას უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის სკოლაში დაბრუნების შესახებ⁸⁹. ესტონეთის მსგავსად, ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, სადაც სახლში სწავლება დაშვებულია, ხორციელდება მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი და შეფასება.

ევროკავშირისთვის დამახასიათებელია განათლების მაღალი დონე, რაც მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებაში ვლინდება.

ევროკავშირში სასკოლო განათლების საერთო პოლიტიკა არ არსებობს. უფრო მეტიც, ერთიანი პოლიტიკა ეროვნულ დონეზეც მწირია, ვინაიდან ბევრ ქვეყანა-

86. European Commission/EACEA/Eurydice. (2018). Home education policies in Europe: Primary and lower secondary education.

87. HSLDA. (n.d.). *Legal status and resources on homeschooling*. Retrieved March 29, 2024

88. HSLDA. (n.d.). *Legal status and resources on homeschooling*. Retrieved March 29, 2024

89. Blok, H., & Karsten, S. (2011). Inspection of home education in European countries. *European Journal of Education*, 46(1), 138–152.

ნაში განათლების სისტემა ეფუძნება ხანგრძლივი ისტორიის მქონე პრინციპს, რომ შვილის აღზრდა-განათლება მშობლის პასუხისმგებლობაა.

მიუხედავად განსხვავებისა, ევროკავშირში საერთო მახასიათებლებიც იკვეთება. ასეთი კი დეცენტრალიზაცია, სკოლების ფართო ავტონომია და არჩევანის შესაძლებლობაა, რომელიც ერთად კონკურენტულ გარემოს ქმნის. შესაბამისად, ზოგადი განათლების მიწოდებაში ჩართული სკოლები ერთმანეთთან კონკურენციაში არიან, რაც განათლების მაღალი დონის მნიშვნელოვანი ამხსნელია.

სკოლის თავისუფალი არჩევანი უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების დაფინანსებისა და მიწოდების განცალკევებით, რისთვისაც ხშირად გამოყენებული მექანიზმია ვაუჩერული დაფინანსების მოდელი. ეს მექანიზმი მთლიანად ფარავს როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში სწავლის საფასურს. არის ქვეყნები, სადაც კერძო სკოლას აქვს თავისუფლება, დააწესოს დამატებითი საფასური.

დაფინანსების მოდელთან ერთად, მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაცია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში დაწყებითი განათლება თითქმის სრულად დეცენტრალიზებულია, რადგან განათლების პოლიტიკის განსაზღვრა და დაფინანსება ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაა. საჯარო სკოლები კი, ძირითადად, მუნიციპალურია. უმეტეს ქვეყანაში საბაზო განათლება ფართო დეცენტრალიზაციით გამოირჩევა და ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლება სკოლის დონეზეა დელეგირებული.

ევროკავშირის ქვეყნებში ვაუჩერული დაფინანსებისა და დეცენტრალიზაციის მიმართულებით გატარებული რეფორმების ემპირიული შესწავლა ადასტურებს მათ დადებით გავლენას სასკოლო განათლების შედეგებზე.

მშობლების დომინანტი როლი ბავშვების განათლების მიღებაში, სახლში სწავლებაშიც გამოიხატება, რაც ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში ნებადართულია, ხოლო ზოგიერთ მათგანში, ფაქტობრივად, განთავისუფლებულია რეგულირებისგან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ იქ, სადაც სასკოლო განათლება მრავალფეროვნებითა და სკოლის არჩევის თავისუფლებით გამოირჩევა, ეს ფორმა, ხელმისაწვდომობის მიუხედავად, პოპულარობით არ სარგებლობს.

4.

ჩაკონკრეტოვება

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სწრაფი და ამავდროულად, მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა გატარდეს სხვადასხვა რეფორმა, რომელთა მიმართულებები მოწინავე ქვეყნების გამოცდილებასა და ფართო სამეცნიერო კვლევების საფუძვლიან ანალიზს ეყრდნობა. ზოგადი განათლების შემოთავაზებული რეფორმირების მიმართულებები გააუმჯობესებს სასკოლო განათლების ხარისხს და მის მიწოდებას უფრო ეფექტიანს გახდის. ამასთან, ქვემოთ მოყვანილი რეფორმები ხელს შეუწყობს სექტორში დასაქმებულთა პროდუქტიულობის ზრდასა და კერძო ინვესტიციებს.

ჩვენი განათლების სისტემის რადიკალური გაუმჯობესებისათვის საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- **განცალკევება** – საქართველოში სასკოლო განათლების დამფინანსებელიც და ძირითადი მიმწოდებელიც, ერთდროულად, ცენტრალური ხელისუფლებაა. სასკოლო განათლების დაფინანსებისა და მიწოდების ერთმანეთისგან გამიჯვნა კი აუცილებელი წინაპირობაა სკოლის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობისთვის, რომელიც, დეცენტრალიზაციასა და ავტონომიასთან ერთად, უზრუნველყოფს სასკოლო განათლების კონკურენტულ გარემოში მიწოდებას. კონკურენცია კი საწინდარი ხარისხისა და ეფექტიანობისა, რაც ფართო ემპირიული ლიტერატურით დასტურდება. არაერთი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ სკოლის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. თავად არჩევანის შესაძლებლობისთვის ფართოდ

გამოყენებულია ვაუჩერული ტიპის დაფინანსება, რომელსაც, სხვა მექანიზმებთან შედარებით, ემპირიული მტკიცებულების თანახმად, განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე უფრო მაღალი გავლენა აქვს. შესაბამისად, რეფორმის ეს მიმართულება გულისხმობს ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის დანერგვას.

კერძოდ, ერთ მოსწავლეზე დაფინანსებას, რომლის მიღების თანაბარი შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ სკოლას. არსებული დაფინანსების სისტემა კი ამას არ გულისხმობს. ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასეთი დანერგვის კარგი მაგალითია შვედეთი, სადაც უნივერსალი ვაუჩერული დაფინანსების შემოღებამ ხელი შეუწყო სასკოლო განათლების გაუმჯობესებას. რეფორმიდან მოყოლებული, მოსწავლეთა მიღწევები მზარდია და საერთაშორისო სტანდარტებს აღემატება. შემოთავაზებული მოდელის შემთხვევაში, მაგალითად, 2024 წელს, ერთ მოსწავლეზე ვაუჩერის ღირებულება 2 018 ლარი იქნებოდა, რადგან ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება 1.3 მლრდ ლარია და სასკოლო განათლებას 634 ათასი მოსწავლე იღებს.

- **დეცენტრალიზაცია** – ვაუჩერული დაფინანსების დანერგვისა და შესაბამისად, სკოლის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციისა და სკოლების ფართო ავტონომიის გარეშე, სასურველს შედეგს სრულყოფილად ვერ გამოიღებს. ემპირიული კვლევები წამოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ დეცენტრალიზებული სასკოლო განათლების პირობებში, სასკოლო განათლების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

ამდენად, სასკოლო განათლების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული სრულყოფილი რეფორმისთვის, მნიშვნელოვანია მისი დეცენტრალიზაცია, კერძოდ, სასკოლო განათლების უფლებამოსილების სრულად გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის. ეს კი, პირველ რიგში, გულისხმობს საჯარო სკოლების მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემას და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დაფინანსების უზრუნველყოფას. შესაბამისად, იგულისხმება საჭირო ძალაუფლების დელეგირება ადგილობრივ დონეზე. ბოლო ათწლეულებიდან, ასეთი რეფორმის კარგი მაგალითია ესტონეთი, რომელსაც, საქართველოს მსგავსად, ხანგრძლივი საბჭოთა განათლების სისტემის წარსული

აქვს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გატარებული რეფორმებით, დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება მუნიციპალური ორგანოების კომპეტენციაა. საქართველოში კი ზოგადი განათლება კვლავ ცენტრალური მთავრობის მიერ იმართება და ყველა საჯარო სკოლა განათლების სამინისტროს ექვემდებარება.

➤ **ავტონომია** – ვაუჩერული დაფინანსების მოდელი და სკოლების დეცენტრალიზაცია ქმნის კონკურენტულ გარემოს სასკოლო განათლების მიწოდებაში, მაგრამ კონკურენციული წნეხის პირობებში, მომხმარებლებზე (მოსწავლეები და მშობლები) მორგებისა და უკეთესი შედეგებისთვის, საჭიროა, რომ სკოლების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ მოქნილობა – სკოლების ხშირად ცვალებად გარემოსთან მორგებისთვის და ძალაუფლება – ცალკეული სკოლის ფარგლებში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის. აღნიშნულს ადასტურებს ემპირიული ლიტერატურაც, რომელიც ფართო ავტონომიის მქონე სკოლებში მოსწავლეთა უკეთეს შედეგებს აჩვენებს. ამდენად, სასკოლო განათლების სათანადო რეფორმისთვის, საჭიროა სკოლების ავტონომიის გაფართოება, კერძოდ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი ძალაუფლების გადაცემა უშუალოდ სკოლის ხელმძღვანელების ან მმართველი ორგანოებისთვის. ასევე, სწავლების ნაწილში, საჭიროა მასწავლებლის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნული რეფორმის მიმართულება გულისხმობს სასკოლო განათლების მიწოდების ცენტრალიზებული და უნიფიცირებული მიდგომის დემონტაჟს, რისი ნაწილიცაა სასწავლო გეგმისა და მსგავსი მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების გაუქმება.

შედეგად, სკოლებს ექნებათ ფართო ავტონომია, რაც სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობის ზრდას ნიშნავს. პასუხისმგებლობა კი მათ გაუჩენს სტიმულს, უკეთესად მოერგონ მოსწავლეთა საჭიროებებს და გააუმჯობესონ სწავლის ხარისხი. სკოლების ფართო ავტონომიის რეფორმის კარგი მაგალითია ინგლისი, სადაც სკოლების უმეტესობას ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისგან დამოუკიდებლად შეუძლია რესურსების მართვა, სწავლების ორგანიზება და სასწავლო გეგმის განსაზღვრა. ასეთი სკოლები კი მოსწავლეთა უკეთეს შედეგებს აჩვენებს, ვიდრე სხვა სკოლები.

➤ **სახლში სწავლება** – სავალდებულო განათლება არ ნიშნავს აუცილებლად სავალდებულო სასკოლო განათლებას, რადგან განათლების მიღება სახლშიც შესაძლებელია. სახლში სწავლება განათლების არჩევანის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მშობელს შვილისთვის განათლების არჩევის უფლებას აძლევს. განათლების ეს ფორმა არის მშობლის ხელმძღვანელობით სახლში სწავლაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც არც საჯარო ორგანოების მიერ იმართება და არც კერძო ორგანიზაციაზე დამოკიდებული. შესაბამისად, სახლში სწავლების დაშვება აფართოებს მშობლის არჩევანს, რომლის დადებითი გავლენა ემპირიული მხარდაჭერითაც სარგებლობს. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში კი სახლში სწავლება დაშვებულია, რაც შვილის განათლებაზე მშობლის პასუხისმგებლობის უპირატესობიდან გამომდინარეობს. საქართველოში კი, პირიქით, სახლში სწავლება უკანონოა. შემოთავაზებული რეფორმის ეს მიმართულება სწორედ სახლში სწავლების სამართლებრივ დაშვებას გულისხმობს, რაც სავალდებულო განათლების მიწოდებაში, კონკურენციის ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმია.

ზოგადი განათლების შემოთავაზებული რეფორმირების მიმართულებების სათანადო იმპლემენტაცია, პირველ რიგში, განათლების სისტემას გარდაქმნის მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ სისტემად, რომელიც სასკოლო განათლების ეფექტიანობის საწინდარი იქნება. სკოლის არჩევის შესაძლებლობის გაფართოება და დეცენტრალიზაცია/ავტონომია კონკურენტულ გარემოს შექმნის სასკოლო განათლების მიწოდებისთვის, რაშიც კერძო სექტორის როლი გაიზრდება. ვაუჩერული დაფინანსების მოდელის დანერგვით, კერძო სკოლებში ზოგადი განათლების მიღება ხელმისაწვდომი იქნება არა მხოლოდ მაღალშემოსავლიანი ოჯახების შვილებისთვის, არამედ სხვებისთვისაც.

საბოლოო ჯამში, შემოთავაზებული რეფორმის სათანადო განხორციელების შედეგი მოსწავლისა და მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. კონკურენციის პირობებში, განათლების სექტორი სამუშაო ძალისთვის უფრო მიმზიდველი გახდება, რადგან პროდუქტიულობა გაიზრდება. პროდუქტიულობის ზრდა კი მასწავლებლის ანაზღაურებაზე დადებითად აისახება. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს სასკოლო სისტემის დეპოლიტიზებას. მეორეც, კონკურენტულ გარემოში ზოგადი განათლების მიწოდება მის ხარისხს გაუმჯობესებს, რაც მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

დასკვნა

დოკუმენტის მიზანი იყო საქართველოს ზოგადი განათლების სექტორის განვითარებისთვის საჭირო რეფორმების მიმართულებების გამოკვეთა და განხორციელების გზების ჩვენება. ამისთვის შესწავლილია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის გამოცდილება, ევროკავშირის გამოცდილება და ფართო აკადემიური ლიტერატურა.

საქართველოს გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგადი განათლების საფუძვლიანი რეფორმა არ განხორციელებულა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სასკოლო სისტემა თითქმის იმავე პრინციპებითა და მიდგომებით მუშაობდა და დღემდე მუშაობს. ესაა ცენტრალიზებული მართვა, კონკურენციის არარსებობა და პოლიტიზებული სკოლის სისტემა, რაც არაერთი პრობლემის საფუძველია.

პირველი და უმნიშვნელოვანესი სასკოლო განათლების დაბალი ხარისხია. ამას მოწმობს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში საქართველოდან მოსწავლეების დაბალი მიღწევები წაკითხულის გააზრებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლების საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.

მეორე მთავარი პრობლემა მასწავლებლების კვალიფიკაციაა. განათლების სერვისის მთავარი და პირდაპირი მიმწოდებელი მოსწავლისთვის მასწავლებელია. წლების განმავლობაში, მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა. პრობლემის არსებობა ცხადყო იმ ფაქტმა, რომ საქართველოში ყველაზე დაბალი ანაზღაურება განათლების სექტორშია და მასწავლებლობა ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებად და დაბალკვალიფიციურ პროფესიად ჩამოყალიბდა.

ემპირიული კვლევებით დადასტურდა, რომ ბაზარზე კონკურენციის არარსებობა არის სასკოლო განათლების განუვითარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. კონკურენცია მიმწოდებელს აიძულებს, მეტად ორიენტირებული იყოს

მომხმარებელზე და მაქსიმალურად დაბალ ფასად, მაქსიმალურად მაღალი ხარისხის საქონელი თუ მომსახურება შესთავაზოს. სასკოლო განათლების კონკურენტულ გარემოში მიწოდება კი სკოლის თავისუფალი არჩევის პირობებშია შესაძლებელი, რისთვისაც, ძირითადად, ვაუჩერული დაფინანსების მოდელი გამოიყენება. კერძოდ, დაფინანსების ისეთი სისტემა, რომელიც თითო მოსწავლეზე ნაწილდება და ყველა სკოლას მისი მიღების თანაბარი შესაძლებლობა აქვს. ვაუჩერული დაფინანსების მოდელი ხელს უწყობს კერძო სკოლების რაოდენობის ზრდას, ხოლო აკადემიური ლიტერატურა მიუთითებს, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, კერძო სკოლები მეტი პროდუქტიულობითა და რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ხასიათდებიან, ვიდრე საჯარო სკოლები. მეორე მხრივ, ემპირიული ლიტერატურა ადასტურებს, რომ კერძო სკოლის არჩევის შესაძლებლობას დადებითი გავლენა აქვს საჯარო სკოლის შედეგებზე.

კონკურენციის უზრუნველსაყოფად, სკოლის არჩევის შესაძლებლობასთან ერთად, აუცილებელია სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია და სკოლების ავტონომიის გაფართოება, რათა უკეთესად მოერგონ ცვალებად გარემოში მოსწავლეთა საჭიროებებს. აღნიშნულის მხარდამჭერი კი ფართო ემპირიული ლიტერატურაა, რომელიც ცხადყოფს, რომ დეცენტრალიზაციასა და ავტონომიას დადებითი გავლენა აქვს სასკოლო განათლების ხარისხზე.

ევროკავშირის ზოგადი განათლების სისტემის შესწავლა მიუთითებს, რომ ის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგებით ხასიათდება, თუმცა საერთო ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის განათლების სისტემები განსხვავებულია როგორც ქვეყნებს შორის, ისე, ხშირად, წევრი სახელმწიფოების ცალკეულ ერთეულებს შორისაც.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო მოდელებსა და სახელისუფლებო პოლიტიკას. მოცემულ ქვეყნებში განათლების დონე, არაერთი შეფასებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. თუმცა წვერი ქვეყნებისთვის საერთო მახასიათებლებია სკოლის არჩევის შესაძლებლობა, დეცენტრალიზაცია და სკოლების ფართო ავტონომია, რომელთა დადებითი გავლენა სასკოლო განათლების ხარისხზე ნაჩვენებია ემპირიულად.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ევროკავშირის ზოგადი განათლების სისტემების შესწავლამ გამოავლინა, არის სახლში სწავლების დაშვება. სახლში სწავლება განხილულია, როგორც განათლების არჩევის ერთ-ერთი კერძო ფორმა და

არაერთ წევრ სახელმწიფოში, კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ შვილის განათლებაზე უპირველესი პასუხისმგებლობა მშობელს აკისრია და მას აქვს განათლების ფორმის არჩევანის თავისუფლება.

ხსენებულ გამოცდილებასა და ფართო თეორიულ და ემპირიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგადი განათლების გამოწვევებზე საპასუხოდ, გამოიკვეთა ეფექტიანი რეფორმის მიმართულებები, რომლებიც ოთხ ძირითად რეკომენდაციას მოიცავს: სკოლის არჩევანის შესაძლებლობა, სასკოლო განათლების დეცენტრალიზაცია, სკოლების ავტონომიის გაფართოება და სახლში სწავლების დაშვება.

ჩამოთვლილი რეფორმირების მიმართულების სათანადო განხორციელება გამოიწვევს სასკოლო განათლების ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდას. შემოთავაზებული ცვლილებები აისახება მასწავლებელთა კომპეტენციის გაუმჯობესებაში, რაც მათ ანაზღაურებაზე დადებით გავლენას იქონიებს. მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი მასწავლებელი კი სწავლების უკეთესი შედეგების საწინდარია. საბოლოოდ, შემოთავაზებული რეფორმა სასკოლო განათლებას აქცევს კონკურენტუნარიანად და მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებულად.

გამოყენებული ლიტერატურა

